

„მოგზაური“ წელი-
წაღში ღირს 5 მან.
ნახევარ წლით 3 მ.
ცალკე ნომერი 10 კ.
ადრესი: თბილისი,
ნიკოლაძე ქ. № 44.

მოგზაური

რედაქცია: დილა ყო-
ველ დღე: დილის
10 საათი, შუადღის
1 საათამდე, და სა-
ღამოს: 6 სათ. 7 სა-
ათამდე.

სოციალ-დემოკრატიული ქუჩისათვის

№ 30.

კვირა, 14 აგვისტო 1905 წლისა.

№ 30.

შინაგანი: როგორ წარმოიშვა ავტონომიის იდეა, გ. —სა.—პა-
წია შენიშვნა, ან —სა.—მოთხოვნის განკარგულება.—სხვა და სხვა ამ-
ბეგი.—დაბა სოფლის ამბები.—რუსეთის ქრონიკა.—ფელეტონის მაგიე-
რი, თაგუნასი.—კიდევ გავკრით, სან-დონისა.—თანამედროვე კითხვები,
(თარგმანი) ვ. ბრაქესი.—ცოცხალი საზოგადოების მეთვრამეტე საუკუნის
ისტორიადან, (თარგმანი) ზ. ჩიჩუასი.—ბურჟუა და პროლეტარი
(გაგრძელება).—ერთხელ კიდევ ბ. თ. სახოკიასა და მუს-შესახებ, ბე-
ნია ჩხრციშვილისა.—წერილები რედაქციის მიმართ.

როგორ წარმოიშვა ავტონომიის იდეა.

თუ მატერიალისტური შეხედულება ისტორიაზე ქეშმა-
რიტია, მაშინ ყოველგვარი პოლიტიკური, ფილოსოფიური,
იურიდიული და საზოგადოებრივი იდეოლოგიური მოვლენის მიზეზი
და ახსნა საზოგადოების ქონებრივ ურთიერთობაში ანუ ეკო-
ნომიურ სტრუქტურაში უნდა ვიხილოთ, რომელიც თავის
მხრით დამოკიდებულია საწარმოო ძალთა განვითარებისაგან.
ავტონომიის იდეაც, რომელიც ჩვენი პატარა კუთხის ლიტე-
რატურაში დაიბადა ეკუთვნის იმ სფერას საზოგადოებრივ
ცხოვრებისა, რომელსაც მარქსიზმი იდეოლოგიურ ზედნაშენს
უწოდებს. ჩვენ თამამთ შეგვიძლია ამ საზოგადოებრივი მოვ-
ლენის ანალიზის დროს ვიხილომდგანელი ისტორიული მი-
ტერიალისტის ძირითადი იდეებით, მიტომ რომ ჯერჯერობით
ვერც ბურჟუაზიულმა კრიტიკოსებმა და ვერც მათ ამაყლ
რევიზიონისტებმა ვერ შესძლეს შეერყიათ მისი მტკიცე ნიადაგი
და მით უმეტეს წამოეყენებიათ ისეთი სოცოლოგიური თე-
ორია, რომელსაც საგრძობელი კონკურენტის გავრცევა შეს-
ძლებოდა მისთვის. პირიქით უკანასკნელმა გამოკვლევებმა სა-
ზოგადოებრივ მეცნიერებაში ახალ-ახალი დამატაციებელი
საბუთები შემატა ისტორიულ მატერიალიზმს და მისი გავლენა
კიდევ უფრო გაზარდა.

აი, ამ თეორიის ერთი დებულება ამბობს, რომ ყოველ-
გვარი პოლიტიკური მოთხოვნების ხასიათი, მნიშვნელობა
და ისტორიული ზედი დამოკიდებულია იმ კლასზე ან საზო-
გადოებრივ ჯგუფზე, რომელმაც ის წამოაყენა, რომ პოლიტი-
კური პროგრამა წარმოადგინა და უტოპიურია მაშინ, როცა ის
ან სულ არაა შეკავშირებული რომელიმე საზოგადოებრივი კლას-
ის ინტერესებთან, ან და ისეთი ჯგუფის ინტერესებს ეფუძნება
რომელსაც საზოგადოებრივ ცხოვრებაზე არაფიქროსი გავლენა არა
აქვს და არც ექნება. რომ ის რეაქციონური, როცა მას წამოაყენ-
ებს ისეთი კლასი ან საზოგადოებრივი ჯგუფი, რომელსაც
სწავრავს და თანდათან სპონს არსებული ეკონომიური ურთი-
ერთობა და კონსერვატიულია (ამ სიტყვის ფართო მნიშვნე-
ლობით) მაშინ, როცა ის შეკავშირებულია გაბატონებული
კლასის და ჯგუფების ინტერესებთან. მხოლოდ ერთ შემთხვე-
ვაშია ის ქეშმარიტად პროგრესული: ეს მაშინ როცა მოთხო-
ვნა წარმოიშვა იმ კლასში, რომელიც არსებულ საზოგადო-
ებრივ წესწყობაში მომავალი ეკონომიური ურთიერთო-

ბის (производствен. отношения) პრინციპის მატარებლათ გამო-
დის რ. როცა მისი ცხოვრებაში გატარება არსებული წესების სი-
კვდილს აახლოვებს. საკითხავია რომელ კატეგორიას ეკუთვნის
ავტონომიის მოთხოვნა? არსებობს თუ არა ისეთი კლასი სა-
ქართველოში რომელსაც შეუძლია ამ მოთხოვნის შესახებ
ხორცება, თუ ის სამუდამოთ უნდა დარჩეს პატარა ნტელი-
გენტური ჯგუფის მიუწოდებელ, ტკბილ ოცნებათ? დიად, სა-
ქართველოში მოინახება ისეთი კლასი, რომლისათვისაც ხელ-
ვაყრელია ჩვენი ქვეყნის ავტონომიური პარტია-გამგეობა და
ეს კლასი ადრე თუ გვიან ზურგს გაუმაგრებს იმ ჯგუფს,
რომელსაც დღეს გულისხმობთ ალგუნებული და გამოურყვე-
ლი (ხშირათ უნიადგო) იდეოლებით გამსჭვალული პოლიტი-
კურ ასპარეზზე გამოვიდა. ეს გახლავს წერილი ბურჟუაზია—კლას-
ის ცვლელადი, ორპირი ბუნების მქონე, ხშირათ კონსერვატი-
ული, ხშირათ რევოლუციონური, უმეტეს ნაწილათ კი რეა-
ქციონური.

რ.ში მდგომარეობს ეკონომიური პროგრესის კაპიტალისტურ
საზოგადოებაში, რ.ში გამოიხატება საწარმოო ძალთა განვითარება? საწარმოო ძალთა ზრდა-განვითარების გამოიხატევილი თა-
ნამეგრაც საზოგადოებაში კაპიტალისტური საკუთრების გამარჯ-
ვება ინდივიდუალურ და ფეოდალურ საკუთრებაზე გამარჯვე-
ბული კაპიტალი არღვევს ინდივიდუალურ საკუთრებას ანუ
ისეთ ქონებრივ ურთიერთობას, რომელშიაც მწარმოებელი
შრომის საშუალებათა მესაკუთრეთ ითვლება, რომელშიაც
წარმოების ობიექტიური და სუბიექტიური ფაქტორები ერთ
თი მეორეს დაშორებული არ არიან. მეორე მხრით იგივე
კაპიტალი არღვევს და თავის გეგოზე ქმნის ფეოდალურ სა-
კუთრებას ე. ი. იმ ეკონომიურ დამოკიდებულებას, სადაც
სუბიექტიურ და ობიექტიურ მომენტს შორის საზოგადოებრივი
განსხვავება გამქრალია და ორივე ფეოდალის კერძო საკუ-
თრებას შეადგენს. ხელოსანის და ფეოდალის ადგილს იკავებს
თანამედროვე კაპიტალისტი, ახალ ეკონომიურ პრინციპის
მატარებელი, რომელიც ერთი-მეორეს აშორებს მწარმოებელს
და საწარმოო აარადებს, მათ შორის სდგება და უკანასკნელს
ისაკუთრებს, ან თავისუფლებს ყმებს და ამ გვართ ბატონყმურ
საკუთრებას ძირს უთხრის. აიტომ, როგორც ხელოსანი და
საზოგადოებრივი წერილი ბურჟუა, ისე თავდასხანა-ურობა თანამე-
დროე საზოგადოებაში რეაქციონურ იდეოლოგიის მატარე-
ბლათ გამოდიან: როგორც ერთი, ისე მეორე სახელოვან წა-
რსულს ამქებს ხსნას უღმობელ კაპიტალისაგან; როგორც
ერთი, ისე მეორე ტკბილ წარსულის მოგონებაში ჰპოვებს
შეგებას აწინდელი ტკივილებისაგან. ამიტომ როგორც პირვე-
ლი, ისე მეორე ისეთ პოლიტიკურ პროგრამას იპუშავებს,
რომელიც ავსილია რეაქციონური იდეოლოგიებით და საზოგა-
დოებრივი მოთხოვნებით, რომელიც ლაპობს არსებული კა-
პიტალისტური დამოკიდებულების მოსპობას და მის ადგილზე
ყრფილი წერილ ბურჟუაზიული და ფეოდალური ქონებრივი

ურთიერთობის გამყვებას. ასეთია საზოგადო ტენდენცია წვრილ ბურჟუაზიისა და თავდაზნაურობის, ასეთია მათი ბუნება ჩვენშიც.

სანამ საქართველოში ნაციონალური კაპიტალი დაიბადებოდა, შემოიჭრა უცხოეთის კაპიტალი და ჩვენი კუთხის რევოლუციონერ გარდაქმნას შეუდგა. ჰქრება რაც კი ტრადიციონური და თავისებურია, მის ადგილზე ბატონდება ახალი, ევროპული ფორმები. იღუპება ქართველი თავდაზნაურების ლატიფუნდები, იღუპება ქართველი ხელოსანი, ქართველი სოფელი ჰკარგავს თავის მიმავაპურ ელფერს: მათს ადგილზე ბატონდება უცხოეთის, რუსეთის და სომხეთის კაპიტალი. მოსწავებს თუ არა ეს ნაციონალურ გადაგვარებას? სულაც არა. საშუალებებს თავის მიზნის მისაღწევათ უცხოეთის კაპიტალი თავის გარშემო ეძებს და საქართველოშივე პოულობს. ეს ძალაუნებურათ ზრდის და ანვითარებს ქართველ პროლეტარიატს, ქართველ ინტელიგენციას, ქართულ პრესას, საზოგადოთ იმას, რასაც ნაციონალურ კულტურას ეძახიან. ის შლის პარტიკულიარულ საზღვრებს ჩვენში და ერთ და განუყოფელი საქართველოს იღებს ამტკიცებს. ძველი, აზიური იგუარია ისტორიის უფსკრულში იკარგება, მის ადგილს იკავებს ახალი, ევროპული, კაპიტალისტური საქართველო. ამას გარდა უცხოელი კაპიტალის განვითარება ხელს არ უშლის ნაციონალური კაპიტალის წარმოშობას და განვითარებას: პირიქით ის სპობს ძველებურ გონებრივ ვიწროობას და შორს მჭვრეტელობას და ენერჯიას ანვითარებს. კაპიტალისტური საზოგადოების შეილი მუდმივ მოძრაობს, მუდმივ მოგზაურობს, ერთს ადგილზე ვერ ისვენებს. ჩვენშიაც ვითარდება ის, რასაც კაპიტალისტურ უნარს უწოდებენ. შორეული მანჯურის დაბა-ქალაქებში ახლა ჩვენი თანამემამულეები „პირველყოფილ აკუმულაციას“ ახდენენ და მოსალოდნელია, რომ დიდი უძრავლესობა თავის მომავალ „მოლაწეობის“ ცენტრს „საყვარელ სამშობლოში“ გამოიიტანს.

შეურაცყოფილი და დაჩაგრული ამ განვითარების მიერ ჩვენი წვრილი ბურჟუაზია და თავდაზნაურობა არის. როგორ უნდა დაიცივან იმათ თავის საკუთრებაზე თუ საქართველო იმ გზას გაჰყვან, რომელზედაც ახლა ადგია, მათი დაღუპვა აუცილებელია. საქირა იარაღი ამ მსვლელობის შესაფერხებლათ; ისინი ეძებენ პოლიტიკურ სფერაში ასეთს იარაღს: ეს იარაღი ნაციონალურ-ტერატორიალური ავტონომიაა. მართალია საქართველოს რომ ევოლიუციის მხრით შევხედოთ ის უკვე კაპიტალისტური ქვეყანაა, მაგრამ თუ მის არსებულ, სტატიკურ მდგომარეობას მივიღებთ სახეში, უკველათ, ის წვრილ ბურჟუაზიის და თავდაზნაურობის ტიპიურ სამეფოთ გვეჩვენება. ამიტომ საქირა მისი მომავალი განვითარების შეჩერება და ერთ წერტილზე გაყენება: მაშინ წვრილ ბურჟუაზიის და თავდაზნაურობის ბატონობა უზრუნველყოფილია და წარსულის დაბრუნებაც შესაძლებელი ხდება, წარსული ეკონომიურ წეს-წყობილების გამოკაცლებდა პოლიტიკური ძალის საშუალებით. თუ წვრილ ბურჟუაზიამ ავტონომიური მართვა-გამგეობა ხელში ჩაიგდო, ის ეცდება კიდევ ეს ძალა თავის კლასობრივი ინტერესების საკეთილდღეოთ გამოიყენოს. ის თავდაზნაურობასთან ერთათ შეეცდება სოციალრევოლუციონური განვითარების შეჩერებას სხვა და სხვა რეაქციონური კანონებით. ბაეების და ამკრძალველი კანონების საშუალებით ის შეეცდება განდევნოს საქართველოს ბაზრიდან ტენიკურათ უფრო ძლიერი კაპიტალი და ქართველი მმართველის ზურგზე თავისი ბედნიერება დაამყაროს. ამგვარათ ის შებღალავს წვრილი გლეხობის არსებით ინტერესებსაც, ვინ შეებრძოლება მის რეაქციონურ

ზომებს ავტონომიურ საქართველოში. ქართველი გმირული პროლეტარიატი! მაგრამ ის ჯერ უმცირესობაშია და ამიტომ მის მისწრაფებას გაბოროტებული რეაქციონური ძალები ადვილათ ჩაახშობენ.

ამ გვართ მსადგება ჩვენს წვრილ ბურჟუაზიაში და თავდაზნაურობაში ავტონომიის იღვის ნიადაგი. თუ უცხოეთში წარსულის ეს ორი ბნელი აჩრდილი გამარჯვებულ კაპიტალიზმს ტრადიციის, ისტორიის და სხვა ამ გვარი, არკვიდან ამოღებული ცნების სახელით ებრძვის, აქ ჩვენში ის მზადაა შეიარაღდეს უცხოეთიდან გადმოტორცნილ დამლუპველ ძალებთან ბრძოლაში ნაციონალური იღვით და ის პროგრესს დაუბირდაპიროს. იღვის ნიადაგი მომზადდა, ვინ შეიფუშავა თვით იღვია? როცა ცხოვრებაში მომწიფდება ეკონომიური პირობები რაიმე იღვის წარმოსაშობათ, როცა ამ იღვის ელემენტები უკვე გაბნეულია რომელიმე საზოგადოებრივ კლასში, ეს კლასი წამოაყენებს თავის იდეოლოგებს, რომელიც ამ იღვის შეამუშავებენ და თეორეტიულათ დაასაბუთებენ. იდეოლოგების მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს რომ თავი მოუყაროს შეგნების ელემენტებს, გამოკიდლებას, იღუმალ და ცხად სურვილებს და მისწრაფებებს, რომელიც ამა თუ იმ კლასში უხვათაა გაბნეული. სისტემატიურათ დალაგოს ეს მასალა და ამ გვართ გარკვეული იდეოლოგია და პრაქტიკულ მოქმედების პროგრამა შეიმუშავოს. შემდეგ კლასი ორგანიულათ ისისხლბოცებს მისი იდეოლოგების მიერ შემუშავებულ პროგრამიდან იმ ელემენტებს, რომელიც მის ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობას შეესაბამება, უყუარდებს იმას, რაც მისთვის უცხოა, რაც სხვა ნიადაგიდანაა გადმოტანილი. იმ ორმა კლასმა, რომლის ეკონომიურ ინტერესებს ზევით ანალიზი ვუყავით, წარმოშვა ჯგუფი იდეოლოგებისა, ჯგუფი რომლის გარშემო ახლო მომავალში ალბათ ორი პარტია აშენდება; ამ ინტელიგენტურ ჯგუფში სხვა და სხვა მიმართულება, ორი ტენდენცია ღვსაქ ნათლათ გამოირკვეა: მიმართულება თავდაზნაურულ-კლერიკალური და მიმართულება წვრილი ბურჟუაზიული („ხალხური“). პირველი სუსტია, მისი მომავალი ზრდა განვითარება საფიქრალია. მეორეს მომავალი უფრო „ბრწყინვალე ბედ-იღბალს“ უქაღის: მისი გავლენა დაღვსაც საგრძნობელია, მისი მნიშვნელობა ლიტერატურაში დღითი დღე იზრდება; „სნობის ფურცელი“ და „ივერია“, აი ორი ცენტრი, რომლის გარშემო ტრიალებს ჯერ ჯერობით ეს ჯგუფი. რა განსხვავებაა ამ ორ მიმართულებას შორის? დემოკრატიზმი და სოციალისტური ფრაზეოლოგია — აი ორი დამახასიათებელი თვისება რომელიც მეორე მიმართულებას განსაკუთრებულ დაღს აჩენს. მისი დემოკრატიზმი ქეშმარტია. ქეშმარტია მიტომ, რომ ის კლასი, რომლის წარმომადგენელათაც უნდა ჩავთვალოთ ეს ჯგუფი — წვრილი ბურჟუაზია საქირებს ფართო პოლიტიკურ თავისუფლებაში და სახელმწიფო მეურნეობის დემოკრატიზაციაში თითქმის ისევე, როგორც პროლეტარი. ის თავგამოდებით იბრძვის სიტყვის, ბეჭდვის კრების და სხვა დემოკრატიული თავისუფლებისათვის, საყოველთაო ხმის უფლებებისთვის, პროგრესული გადასახადების დაწესებისთვის. ბიუროკრატიის თვითნებობა, ხალხის ფულის უთავბოლო ფლანგვა მას მძიმე ტვირთათ აწობა კისრზე; მილიტარიზმის და საზოგადოთ სახელმწიფო ხარჯების ზრდა მის სულს უხუთავს და მის ისეთაც მოკლე წარმოებას სრულიათ ანადგურებს. ამ არსებითი მოთხოვნებისთვის ის უშიშრათ იბრძოდება.

ჩვენი ქვეყნის და რუსეთის კონკრეტულ პირობებში ის გულწრფელი რევოლუციონერია. ამიტომ ის ადვილათ შეითვისებს იმ ფართო დემოკრატიულ პროგრამას, რომელსაც

ჩვენი ფედერალისტები წამოაყენებენ. სულ სხვა სოციალისტური იდეოლოგიები, რომელშიაც ახვეს წვრილ-ბურჟუაზიულ პროგრამას ფედერალისტთა ჯგუფი. ეს იდეოლოგიები არ გამომდინარებენ ამ კლასის ეკონომიური მდგომარეობიდან: ისინი სულ სხვა ატმოსფერის შვილები არიან. მათი შეტანა წვრილ-ბურჟუაზიულ პროგრამაში არღვევს უკანასკნელის პარმონიას და მთლიანობას. რა ნიადაგზე აღმოცენდნენ ისინი? საქმე იმაშია რომ სხვა და სხვა პირობის გამო, რომლის განხილვას აქ არ შევეუძლებით, ჩვენი პროლეტარიატი უწინ გამოვიდა პოლიტიკურ ასპარეზზე ვიდრე სხვა რომელიმე კლასი ან ჯგუფი; გამოვიდა უკვე გარკვეული კოლექტივისტური შეგნებით შეიარაღებული. რამდენიმე წლის განმავლობაში არსათ ჩანდა ჩვენში ისეთი ძალა. რომელსაც შეეძლო გაჯიბრებოდა შეკავშირებულ და შეგნებულ პროლეტარიატს სოციალურ პოლიტიკურ მნიშვნელობაში. ამიტომ არაა ვასაკვირადი, რომ ბურჟუაზიის იდეოლოგიები, მომავალი პარტიების წინამორბედნი, სწორეთ იმ კოლექტივისტურ წამოსახამს იცვამენ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოუპოვოს მათ ამ ჯერ ჯერობით ერთათ ერთ საგრძნობელ საზოგადოებრივ ფაქტორზე. ასეთია ფედერალისტების ფსიხიკა. მაგრამ შორს არ არის გამოღვიძებული ბურჟუა, ის მოდის და ჰხედავს რიღე აფარებულ ქანდაკებას მისი იდეოლოგიების მიერ აგებულს. ის უკუაგდებს პირბადეს, სოციალისტურ იდეოლოგიებს და თავის გატიტვლებულ პროლეტარულ მისწრაფებებს პროლეტარიატს აშკარათ დაუპირდაპირებს.

8.

P. S. მე მგონია ჩემი სტატიის შინაარსი პასუხს იძლევა იმ კითხვანდაც თუ რატომ უნდა იყოს პროლეტარიატის პარტია საქართველოს ავტონომიის წინამძღვენი. კიდევ ერთი მოსახრება: ის მართლაც ქსაქსავს და ასუსტებს ინტერნაციონალურ მუშათა არმიის ძაღს. ვიცი, ჩვენი მოწინააღმდეგენი აქ მოიყვანენ შევიცარის მაგალითს, რომელიც 22 ავტონომიური კანტონისგან შესდგება და, მათის აზრით, სულაც არ ასუსტებს იქაური პროლეტარიატის ძაღს. ეს სრული შეცდომაა; ჩვენი ფედერალისტების სავალალოთ მათი მაგალითებია დასავლეთი ეკრაიის ცხოვრებიდან და ლიტერატურულიან უმეტეს ნაწილათ ვერ აღწევენ მიზანს. ასეა აქაც, საქმე იმაშია, რომ მიუხედავთ შევიცარიის ყოველმხრივი განვითარებისა, მიუხედავთ იმისა რომ კაპიტალიზმიც და დემოკრატიაც აქ საქმათ მაღალ წვრტილზე სდგას—ამ ქვეყნის პროლეტარიატი ბევრათ უფრო სუსტია, მას ბევრათ ნაკლები მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, ვიდრე მაგ. იტალიის, საფრანგეთის და გერმანიის პროლეტარიატს და ერთ მთავარ მიზეზათ ამ ჩამორჩენისა შევიცარიის უკიდურესი დეცენტრალიზაცია უნდა მივიჩნიოთ. იქაურ მუშას თვალწინ უდგას არა კლასობრივი ცენტრალისტური სახელმწიფო, თავის ძლიერი პოლიტიკური იარაღებით (ჯარი, ფლოტი, ბიუჯეტი რკინის გზა და სხვ.), არამედ პატარა თვითმართველი კანტონი, სადაც ბურჟუაზიის პოლიტიკური პატონობა საქმათ მიფუჩნებულა. ის ვერ ხედავს შეკავშირებულ ბურჟუაზიულ კლასს, რომელიც სარგებლობს თანამედროვე სახელმწიფოს უზარმაზარი იარაღებით, მის წინ სდგას ადგილობრივ კაპიტალისტთა ჯგუფი, რომელიც თვალზე ეფარება და კლასის დანახვას უშლის. ერთი მტკაველა კანტონის პოლიტიკური ძალა ძლიერ უმნიშვნელოა, ამიტომ პოლიტიკური ბრძოლაც ჰკარგავს მის თვალში მნიშვნელობას. მუშას ეკარგება პარლამენტარული და საზოგადოთ ფართო კლასობრივი ბრძოლის ხალისი და ის ვიწრო პროფესიონალისტ ხდება. ასეთი მოვლენა სასურველია ბურჟუაზიისათვის, მაგრამ ის

დამღუბველია პროლეტარიატისთვის. სოციალური რევოლიუციის სახელით შეგნებული პროლეტარიატი უარჰყოფს ასეთს პოლიტიკურს დეცენტრალიზაციას.

8.

პაწია შინიშნა.

სწორეთ შეგებრალებათ „ივერია-ცნ. ფურ.“ მწერლები, როცა მათ წერილებს კითხულობთ ჩვენი პარტიის შესახებ. ეტყობათ, მაღა დიდი აქეთ—რამე ნაირათ გვავნონ, მარა როგორ, რა გზით—ეს არ იციან და თავისავე სიტყვებით მოქსოვილ ამაღაუღაში საშინლათ იხლართებიან. „ცნ. ფურცელზე“ არას ვიტყვით, მისი „საქმენი საგმირონი“ კახანია ცნობილია და მის მიერ ტალახის სროლა არ ახალია, ძველია. მკითხველის ყურადღებას მივაპყრობთ „განახლებულ ივერიას“. რომელმაც თავის სახათაბალოთ ჩვენთან კამათი ატება და თავის ძველ სარჩულს „განახლებულათ“ ევამცნევს. მან 135 ნომერში ერთი ჩვენი გახეთიდან ციტატი მოიყვანა და თან ისეთი წინა და უკანასიტყვაობა მიაბ-მიაბა რომ უნებლოეთ მოგავონდებოდათ პოეტის სიტყვები: რა უთქვამს, რა მოუჩნაჩავს, რა წიგნი მოუწერიაო. მაგრამ ამ „წიგნის მომწერმა“ ერთი მოჩხვებით არ დაკმაყოფილა და 140 ნომერში მეორეც მიაყოლა. ახლა აქ გადაქრით სწერს: ერთმა „მოგზაურისავე“ ორგანომ „დაუუფარავთ გამოაცხადა ის, რაც ზავისათვისაც კი ცხადი და ნათელია—რომ ის ჯგუფებოო, რომელთა ინტერეს იცავს ჩვენი პარტია ქართველი ერის უმცირესობას შეადგენსო“. ახლა ვკითხოთ ამის დამწერს: საღ ან როდის გამოაცხადა ეს თქვენი ზღაპარი ჩვენმა ორგანომ? ან რომელი პარტია აცხადებდა უმცირესობის ინტერესს ვიცავო? თუ კი თქვენ, ორკაც ნახევარი, იძახით—ერის უმრავლესობას ვემსახურებითო, ნუ თუ მუშათა პარტიას არ აქვს ამის უფლება? ამის მზავსიც კი არაფერია საკამათო წერილში და საიდან გამოიგონა ეს „ივერიაში“—გასაშტერებელია. უნდა ვიფიქროთ, რომ „ივერიაში“ თავის ჩვეულებებისმებრ ის წერილი ვერ გაიგო და თავისი სურვილი სინამდვილეთ დასახა: იმ წერილში მასია პარტიის შედგენაზე, მის გაწმენდა-გაღრმავებაზე; პარტიაში მრავლათ შემოდის გლეხობა, როგორც დემოკრატები. საქირაო კი შიგ სოციალ-დემოკრატები იყვენო და სხ. და აი, ეს ან-ბანი „ივერიაში“ ჩინურათ ევენა და წარმოიდგინა, რა კი მუშათა პარტიაში, ერის უმრავლესობა ახლავე ვერ შევა, ვეღარც ამ უმრავლესობის ინტერესს დაცავსო! საიდან საღაო, ბრძენო „ივერიელნო“! მუშათა პარტიაში ჯერ არსად არ შესულა ერის უმრავლესობა, მარა ეს განა იმას ნიშნავს რომ მისი პროგრამა და მოღვაწეობა უმრავლესობას არ იცავს? განა სოციალიზმის დამყარება გლეხობისათვის სასარგებლო არ არის? განა ჩვენი უახლოესი მიზანი ერის დიდი უმრავლესობის ინტერესების დაცვას არ მოასწავებს? ჩვენს პარტიაში დღეს, რასაკვირველია, ყოველგან ერის უმცირესობაა, მარა რადგანაც პარტია ეს იცავს უმრავლესობის ინტერესებს, ამიტომ ის თანდათან წვერთ და მომხრეთა რიცხვითაც უმრავლესობა ხდება და ასე კაცობრობას უშნადებს ახალ მომავალს. ეს დღეს ყველამ იცის და თუ „ივერიაში“ მაინც არ იცის, ამის მიზეზი უნდა იყოს ორში ერთი: ან გავგებ აზრის დამახინჯება, ან ბავშვური გაუგებრობა.

86.

მთავრობის განკარგულება.

ს.-პეტერბურგი. ოფიციალური, წყალობითა ღვთისათა, ჩვენ ნიკოლოზ მეორე, იმპერატორი და თვითმპყრობელი სრულთა რუსეთისა, მეფე პოლონეთისა, დიდი მთავარი ფინლიანდიისა და სხვათა და სხვათა და სხვათა, ვუცხადებთ ყველა ჩვენ ერთგულ ქვეშევრდომთ, რომ მკაცრე საუფძველი რუსეთის სახელმწიფოს აღორძინებისა იყო ერთობა მეფისა ხალხთან და ხალხსა—მეფესთან. თანხმობა და ურთიერთობა მეფესა და ხალხს შორის არის ის დიადი ზნეობრივი ძალა, რომელიც საუკუნოების განმავლობაში იფარავდა რუსეთს განსაცდელისა და უბედურებისაგან და რომელიც დღემდე თავდებია მისი ერთიანობისა, დამოუკიდებლობისა, ქონებრივ კეთილდღეობისა და მის სულიერ განვითარებისა აწყოსა და მომავალში. ჯერ ისევ 1905 წლის 26 თებერვლის მანიფესტით მოვიწვიეთ ჩვენ ერთგულნი შვილნი სამშობლოსა მტკიცე ერთობის ჩამოსაღებთ, სახელმწიფო წესწყობილების გასუქობებულთა და ადგილობრივ ცხოვრებაში მტკიცე თადარიგის დასაყარებლათ. მაშინვე ჩვენ ზრუნვას შეადგენდა ის აზრი, რომ საზოგადოებრივ დაწესებულებათა წარმომადგენელი შეგვეთხმებინა მთავრობასთან და აღმოგვეფხვრა ის უთანხმოება, რომელსაც ასეთი გამოათხსირებელი ზედგავლენა ჰქონდა სახელმწიფო ცხოვრების მსვლელობაზე. ასეთივე აზრი ჰქონდათ ჩვენ წინაპრებს, თვითმპყრობელ მეფეთ.

ახლა კი დადგა ის დრო, როდესაც ჩვენ უნდა განვახორციელოთ კეთილ განზრახულებანი ჩვენთა წინაპართა და მოეუწოდოთ სრულითა რუსეთის წარმომადგენელი მუდმივ და ნაყოფიერ მოღვაწეობისათვის—სახელმწიფო კანონების შედგენაში. ამიტომ უმაღლეს სახელმწიფო დაწესებულებათა რიცხვს ჩვენ ვუმატებთ ერთ განსაკუთრებულ საკანონმდებლო დაწესებულებასაც—სახელმწიფო საბჭოს (Дума), რომელსაც ევალება შემუშავება საკანონმდებლო მოსაზრებათა და განხილვა სახელმწიფო შემოსავალ—გასახლის ანგარიშებისა. ვტოვებთ რა ხელ-უხლებლად ძირითად განაჩს რუსეთის იმპერიასას—თვითმპყრობელ მთავრობის არსებობის შესახებ, საკეთილთა დავინახეთ, დავააროთ სახელმწიფო საბჭო, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ხალხის მიერ არჩეულნი და რომლის, ჩვენ მიერ უკვე დამტკიცებული დებულებაც, საერთოა მთელის რუსეთისათვის, გარდა იმ ცვლილებათა, რომელიც შეიძლება შეტანილ იქნას ზოგიერთა, განსაკუთრებულ პირობებში მყოფ განაპირა ქვეყნებისათვის.

ის წესები რომელიც შეეხება დიდს სამთავროს ფინლიანდიის სახელმწიფო საბჭოში მონაწილეობის მიღებას საიმპერიო საკითხთა და კერძოთ ამ ქვეყნის საკითხთა გადაწყვეტაში, ჩვენ მიერ კერძოთ იქნება გამოცხადებული. ამასთან ერთათ ჩვენ ვუბრძანებთ შინაგან საქმეთა მინისტრს დაუყოვნებლივ წარმოავლინოს დასამტკიცებლათ წესები სახელმწიფო საბჭოში მონაწილეობის მისაღებათ არჩეულთა დებულების სისრულეში მოსაყვანათ, იმ ანგარიშით, რომ 50 გუბერნიისა და დონის ოლქის წარმომადგენელი სახელმწიფო საბჭოში გამოცხადდნენ არა უგვიანეს 1906 წ. იანვრის პირველ ნახევრისა. ჩვენ სავსებით ვტოვებთ უფლებას სახელმწიფო საბჭოს მოქმედების გაუმჯობესების შესახებ და როდესაც დრო, ან გარემოება მოიპოვებს ამ გაუმჯობესებას, ან ქვეყნისა და დროის შესაფერ კრიმე სასიკეთო ცვლილებას—დაუყოვნებლივ და თავის დროზე გამოავცხადებთ ჩვენს სურვილს ამ ცვლილებათა მოხდენის შესახებ. ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ მთელის ხალხისა და მეფის ნდობით აღჭურვილნი არჩეულნი, მოწვეულნი დიად საქმის აღსასრულებლათ, იქნებიან რა კეთილ-განწყობილნი სახელმწიფოს სხვა დაწესებულებებთან

და მთავრობასთან—გავვიწვიენ სისარგებლო თანაშემწეობას საერთო დედის—რუსეთის სახელმწიფოს უზრუნველ საყოფილოთ, განსავითარებლოთ და ხალხში წესიერებისა და კეთილდღეობის დასამყარებლათ,

მოვიწოდებთ რა კურთხევასა ღვთისასა ჩვენ მიერ ახლათ დაარსებულ სახელმწიფო დაწესებულებაზე, ჩვენ მტკიცეთა გვწაშს მოწყალეობა ღვთისა და გარდუვალობა დიადთა თავბედითობათა ისტორიისათა, განმზადებულთა ჩვენის საყვარელის სამშობლოსათვის განგებითა ღვთისათა.

მტკიცეთა ვასაოცებთ, რომ შეწყენითა ღვთისათა და ერთგულეთა შვილთა რუსეთისათა, სამშობლო ჩვენი ისეთივე ძლიერი, დიდებული და სახელოვანი დარჩება ბედისაგან მოვლინებულ მწარე განსაცდელთა შემდეგაც, როგორც იგი იყო ათასის წლების განმავლობაში. ბრძანება ესე გამოაცემულ არს პეტერგოფსა შინა, შექვესესა დღესა აგვისტოსასა, წელსა შობიდან ქრისტესა ათას ცხრას ხუთსა, ხოლო მეფობისა ჩვენისასა მეთერთმეტსა. დედანს მის იმპერატორებითა უდიდებულესობის ხელით აწერია: „ნიკოლოზი“.

ბრძანება უმართებულის სენატის მიმართ. ამა რიცხით გამოაცემულ მანიფესტით ვაუწყებთ რა ჩვენ ერთგულ ქვეშევრდომთ დაარსებას სახელმწიფო საბჭოსისა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ხალხის წარმომადგენელი, ჩვენ უკვე დავამტკიცეთ დებულებანი არჩენების შესახებ. გიგზავნით რა ამ დაკანონებათ მთელის თავისის დამატებებით, ვუბრძანებთ უპართებულეს სენატს დაუყოვნებლივ გამოაცხადოს იგი. გარდა ამისა, ვინაიდან მოსაზრებანი და წინადადებანი სახელმწიფო წესწყობილების გაუმჯობესების შესახებ ამერიოდან უნდა მომხსენდეს ხოლმე ხალხის წარმომადგენელთაგან შემდგარ სახელმწიფო საბჭოსისაგან, ვუბრძანებ უმართებულეს სენატს ბრძანება მისდაჲ 1905 წლის 18 თებერვალს გამოცემული, ახლაც ვააუქმოს. დედანს მის იმპერატორებითა უდიდებულესობის ხელით აწერია: „ნიკოლოზი“. პეტერგოფი, 6 აგვისტო 1905 წელი. (ტელეგრაფში).

სხვა და სხვა ამბები.

— ქუთაისში, როგორც გაზეთები იუწყებიან, ჯარსა და ხალხს შორის შეტაკება მიამხდარა. ამობენ რამოდენიმე კაცია მოკლულიო. („H. O.“)

— თიანეთში და სოფ. ჩრდილიანთ კარში აღმინისტრაციის დასახმარებლათ ჯარები გაუგზავნიათ.

— გურიაში გაგზავნილა რაზმი ნამესტრიკის ბრძანებით დაიშალა და თავის ძველ ბინაზე უნდა დაბრუნდეს.

— სოფელ გრემში (კახეთშია) გლეხებს მიწის მშობელი არ მიუშვიათ, ამის გამო შეტაკება მიამხდარა ყაზახ-რუსებთან და რამდენიმე კაცა მოუკლავთ.

— შვიდ აგვისტოს შუადღეზე, ქუთაისის ბულვარში მოუკლავთ ყაბარდოს პოლიკის პოდპოლკოვნიკი ხოდუკი. მკვლელი ვერ დაუჭერიათ.

— 7 აგვისტოს სოფ. ქვემოქალაში (ქართლი) მოუკლავთ მამასახლისი. მკვლელი ჯერ ვერ უპოვიათ.

— სოფელ ქადის-ჯვარში (ქართლი) დიდი შეტაკება მოხდა ყაზახ-რუსებსა და ხალხს შორის. მოკლული 30 გლეხი აღმოჩენილა, ხოლო დაჭრილი ორმოცზე მეტი.

— როგორც გაზეთები იუწყებიან, თავად-აზნაურთა მილიცია კიდევ განაგრძობს თავის სახელოვან მოღვაწეობას.

— დასავლეთ საქართველოს სოფლის მასწავლებლებმა კარგა ხანია გადაწყვიტეს ამ ჰირობებში სწავლა არ დაიწყონ. ახლა გორის მაზრის მასწავლებლებსაც ამგვარივე დიდგინილება მიუღიათ და პირველი ცნენისთვის სწავლის დაწყების აღარ აპირებენ.

— როგორც „ც. ფ.“ ამბობს, ბათუმის საოლქო აღმინისტრაციის ზემო და ქვემო აქრაში დასარიგებლათ 150 თოფი გაუზღავნია.

— კავკასიის მთებში მცხოვრებ ინგუშებსა და ყაზახ-რუსებს შეტაკება მოსვლიათ. ინგუშები თავს დასხმიან ყაზახ-რუსებს და რამოდენიმე სოფელი აუკლიათ.

— კავკასიის ნამესტნიკმა ნება დართო თიანეთის მაზრაში თუშებს 120 ცალი ბერდანის თოფი და 5000 პატრონა დაურიგონ თავის დასაცველათ.

— ჯვეანშიორისა და ჯებრაილის მაზრებში სომხებსა და თათრებს შორის გენზეთილებამ ისევ იჩინა თავი და ხელახლა დაიწყო ქლეტა.

— სომხების სამღვდლოებამ და ბურჯუაზიამ სახელოვნათი იდღესასწაულა წართმეულ საეკლესიო ქონების დაბრუნება.

— ფოთში გურულ-მეგრულ მუშებ შორის ჩამოვარდნილი უთანხმოება, როგორც გვატყობინებენ, დასრულებულია შორიგებით. არტელში მომზავებთ მიუღიათ სამუშაოზე სა-მოცი კაცი უმუშევრათ დაჩენილ უკმაყოფილო მუშებისაგან.

დაბა-სოფლის ამბებში

კახეთი. გარბას დღეები, კვირები და არსათ ჩანს შემთხვევებითან ჩვეულებრივ კრძალით მიმავალი ძინს ურშები. აღარ ისმის მათ კალთზე ორგველან ძახილი და შოღლის ტელაშენი, ბრახი მისდის, უეღში სისხლი აწვება და არ სჯერა თავადს, რომ ასეთი საქმე დაემართას... რას წარმოადგენდა, რომ მუდამ თვალ-წარბში შემეურე მონა-მორწილთან დღეს სახევეწარი საქმე გაუხდებოდა. დღემდის ალბათ ბევრმა ბრწყინვალეთაგანმა არც კი იცოდა რა მნიშვნელობა ჰქონდა, რა როლი ეკავა „ტიტას“ მათ ცხოვრებაში?... დაახ, გამწვავდა საქმე და მის დასაცხრობათ მიმართეს ეპსეკუციას. 30 იფლისსი გავიზაფან რ. სხატულში ყაზახ-რუსები.

ისეთი უოფით მიუკუბოდა მათ ერთი წარალი მოსქედე ზოლიციას, რ. მ. (ქართველია), თითქოს ქორწილში მიდიანო. ეს... რამდენიმე დღის სტუმრობის შემდეგ, როცა თავანთი ნიშანი დასვეს სოფელს და შეწუხებულმა გლეხებმა მართვებს შემამუღეებს თავანთი ზურგით ნათხალი, ახსენს ეპსეკუციას; კარგბლობა ზანაფი ივემეს ახატულმა გლეხებმა სტუმრების წყალობით, რომლებმაც მუსრი გააფეს საქონელს (საკლავს), რაც მცირე დასაკლესი არ არის გლეხი-კაცისთვის.

ამ დღეებში ჩაუტეს ყაზახებმა ს. ვანთაში. ეს-და აელდა ზემისთაფ წყალ-წაღებულ ხალხს.

2 მარამბისთვეს, დამის 12 საათზე თანეთში გააწვიეს თუქურშიშიდან ჯარი; 3-ში, შუადღის ორ საათზე გააზრა კიდერ თელავზე ნება ესკადრონმა, თანეთში მიმავალმა. მიხეცია ასეთი უებრად ჯარის გაწყვეს,— ჯერ არ ვიცით.

მეოცე საუკუნე.

ს. შემოქმედი, (გურია). ეველამ იცის რამ გურიას უჭირავს სუჟეტისო აჯავი ეხლანდელ მოძრაობაში, თავის შეგნებულებით და განვითარებით. მაგრამ უოველ განვითარებულ ხალხში იმყოფება თუნამე ცრუ-მორწმუნეები, რომლის განწირება ძლიერ

ძნელაა. მაგალითს გვიჩვენებს ს. შემოქმედი. ს. შემოქმედი ითვლებს სუჟეტისო სოფლათ მთელ გურიაში, მაგრამ აქაც იჩინა ჭირმა თავი.

ამას წინათ ს. გურიანთაში მისულა ერთი ვაჟბატონი, რომელსაც ექიმით მოქნდა თავი. თითო გაშინჯავაში ასდევინებდა 20 კან., მაგრამ წამალს (აფთიაქი და ზროვიზორი თან ახლავს) შამასისხლათ უღდა. ხალხი ვერ აუთავდა წამლის ფულს და როცა გაიკეთ მისი სიუალები, მამხივე გააძვეეს. გურიანთადან ქ. ბათუმში წავიდა და იქიდაი აგრეტები გამოგზავნა შემოქმედა, რომლებმაც ხმა გაავრდელეს რომ სუჟეტისო ექიმა არის ბათუმში რომელიც ითვთ იექიმებს თუ დაბარებთო. მოწვეულ ექმნა ექიმი. გასაშინჯი ნიხრი დადგინა 20 კან. ხალხმა რომ გაიკეთ ასეთი ითვი ექიმობა უოველ მასლოაელ სოფლებიდან მიაწვეა მას. აქაც წამალს შამასისხლათ უღდის. 20 კანკაიან წამალში*), მანეთზე მეტს ახდევინებს. რამდენიმე უმწველესი ექვი შეეზრა ამ მარცველ ექიმზე და დაწვეეს გამოკითხვა. გამოკითხვის დროს გამოარკვეა, რომ წინეთ „ზოგად“ უოფილა ექიმთან და აქ „შეესწავლია“ ექიმობა. შემდეგ თქვა რომ ექმი გამოართლის ნამისწავარი ვართ, მე და გამართულა სუჟეტისო ექიმებია ვართ; ერთი ამთავრებს კიდევ სწავლა და ის ჩვენზე უეტეთია ექმბათ, მაგრამ როცა გამართულს შეკითხენ, სიდრუე გამოდგა. ესლ კარგათ ვცნათ ჩვენი მატყუარა ექიმი, მაგრამ ენის თქმა ვის შუედდა, რადგანაც ივაჟე აკენტები, რომლებმაც ნაადგი მოუბოვეს, შეაზადებული სხლავს ჩვენ მატყუარა ექიმს**). ზეთთეფინი მანჩე შადან მასთან. ასეთ ძარცვა გლეჯით სმ დღეში 420 მან. აღო, ბათუმში ჯვარა დაწვერა, ვიღაც ქაღზე და ისე ამბობძანდა თავის ექიანით. დროს არჩევეს კარგი სცოდნია ჩვეს ექიმს. ესლ თხილობაა სოფელში და თხილის განავილიდან შემოსული ფული მთლათ ამ მატყუარა ექიმს ჩუუარავ ჯიბეში, რამდენამეჯერ აღძრეს ამის შესახებ კითხვა, მაგრამ შეაზადებული აკენტების წყალობით ვერაფერი ტადაწვეიტეს. მისი მორჩენილა ადამანი ჯერ არავის არ უნასავს, თუმცა დღეში ასობით შინჯავს ავთიმოფეებს.

დროა, შემოქმედლებმა იცნან თავის მძარცველი და სკადროსი ზასუხი გასცნ.

ალე.

გავრა. რამდენამე კვირის წინეთ შეკრიბენ გავრაში და მის მიადმოკებში მცხოვრება აებრლებია, გურულებია და შებრულებია, შეფიცეს ერთმანეთს შესწვეიტონ ბურთავრატანთხს უოველკვარი კავშირი, მართთნ თავისი შინჯური საქმეებია ამორჩეული ზირების სმავლემით. ხალხის შეგნებამ დიდად სკანებიელში ჩავგლო როგორც ბურთავრატია, ისე ზოგაერთი აქაური შემამულეები, რამელთა თვითნებობას სოხვარი არა ჰქონდა; ახლას ისე თავისუფლათ ვეღარ მოქმედებენ და უველა თავის საქციელს წინათვე უგვირდებან. ტავრადან 20 ვერსტან მანძილზე შდეპარე სოფ. კალდახორის მცხოვრებლებმა—ანხაზებმა რომ გაიკეთ ასეთი კეთილი შეღებ-მათი მეხოზებუის გათვითნებობიერებისა, მოანდომეს მათთან შეგნებას და შეფიცვა, რომ მიმავალში მოსზობენ ქურდობას და უოველკვარ უთანსობენას ერთმანეთში. მაგრამ აქაურმა ვაშუმებმა წინათვე შემტეობინეს ეუღელთის ბოქაულს, რომელაც ანხაზებს და მეტრელებს შორას მოსალაზარკებლათ დანაშნულ დღეს, 22 იფლისს, კალდახორაში გაჩნდა 30 ყაზახი-რუსებით და არაფერი სმავლება არ დახოცა საქმის ჩასმულელათ. მან თავისი მოქმედებით და სიტ-

*) გურიანთაში გაუმინჯავო მისი მიცემული წამლები, ერთისთვის ოდელილონი მიუცია ოთხ მანეთად და მეორისთვის ტუჭის განაწმენდილიმონათონ 7 მანეთათ.

**) ის აბაზები, რომლებსაც გაშინჯვაში ლეხელობს, აკენტებს მიაქვს და წამლებიდან შემოსული ფულიები კი მიტატარა ექიმს რჩება მოლათ.

უპირობო უკიდურესი ზიზღი აღედგა შეგვრილ ხალხს როგორც თავისადმი, ისე საზოგადოთ ბიუროკრატული რეჟიმისადმი, რომელსაც ასე უწოდებენ შევიწროებული ევას საწული ახასხუბი. 700-მდე ახასხუბი და შეგვრული შეგვრილი იყო ეპლესიის ცალკეანში დაკრული ხარის თამბახუ და საზოგადოთ ქურდობის მოსწობასზე მოსაღმარებელი. გამოცხადდა თუ არა ბ. კავრიალავი, (გუდაუთის ბეჭდული) შეგვრილ ხალხში, ბიუროკრატული უკუხეხი სიტუაციით მიმართათა ახასხუბის: რა უფლება უქონდათ თქვენ ჩემ ნება დაურთებულა შეგვრებოთ, და მამისხალისი დახატამისა. მეუე მიუბრუნდა შეგვრებს და უშევრად მოთხოვა მათ მამინე უკან წასულაივენი გავრიაში, რადგან მათ გუბერნიის საზღვარზე გაღმოსვლის ნება არა ქონდათ (გავრა ჩვენსამირიის გუბერნიისაში, კალდისრა კი სოხუმის ოლქში). როცა შეხედა, რომ შეგვრები მატონი იყვნ და ადგილიდან არ იძვრდენ, უბრძანა ახასხუბს შეგვრებულისთვის ექვსათ, რადგან უკანასკნელნი რიცხვით მათზე წაგლები იყვნ. მაგრამ დახეთ ბუღალის სიმუხთლეს! აქ არ გასწვრა ბიუროკრატის ცნობადმა ტექტავამ. რომ აღარაფერმა გასწვრა, მიუბრუნდა ადგილობრივ თავადებს ექვსეგრებს და ინალიმას და ერთ მათგანს ასეთი სიტუაციით მიმართა: „შე ბებერო, ხვალ თუ ზებუნდა მოკდე და შენც ასეთ საქმეს ჩადისხარო? ბებერი უბედობის შემდეგ ას იძულებული იყო ნება დაერთო ხალხისთვის ქურდობაზე მოღმარებება დაემთავრებინათ. თვითონ კი წავიდა თავის შეგობარ თ. ხასხუბი ინალიმასთან, სადაც მას ნადიმით და დიდი პატივისცემით დახვდნ. ხალხმა მოლოთ ქურდობაზე მოღმარებება, უმთავრესი საქმი კი, ე. ი. თავის ჭირ-გარამზე და შევიწროებულ მდგომარეობაზე მოღმარებება, ჯამუშების წეალბოთი სხალხს შეუსრულებული დარჩა.

ა. — ი.

სხვათა, (რატოს მხარა). საერთო მოძრაობას არც ჩვენ სოფელი ჩამორჩა. კვარას, 25 ივლისს, აქურთი ათისთავების თათნობით ხალხმა სოფლის განცეღარასთან მოიყარა თავი დაღვანადელ საქონლბორტო კაოსხუბზე მოსაღმარებელი. შეესწარ დაღვანადელ რუსეთის მდგომარეობას, ომს და სხვ. ერთმა ორატორმა კლასთა ბრძოლის ბრანემა წამძღვრა და მასზე მტკიცეთ დაურღობადმა დასურათა კლასთა და წოდებთა ურთიერთობა. ხალხი სულგანაბრული უფრს უგდებდა და ძლიერ კმაყოფილი დარჩა. შემდეგ შეესწარ ადგილობრივ კაოსხუბს. სხვათა შორის ერთი „დაბოიოტრული“ ახასხურის აჯორ მდივნიშვილის საქმი გაგრეხეს. საქმი ასე უთელია. 15 ივლისს, ტახის საკეთებლათ გასულა მთელი სოფელი, გულხებიც და ახასხურებიც. აჯორ მდივნიშვილის შეიღას—კოდას ეს სტოდნა, მაგრამ ტახში არ გამოხულა. საღამოსე ხალხი შეუდგა იმ ბიურების გასმართლებას, ვინც ტახის საკეთებლათ არ გამოვიდა; მდივნიშვილის დასჯა იმ დღეს უფრ მასწერეს. 17-ს კანაკრეს ტახის კეთება და თუმცა მდივნიშვილი ამ დღეს დაესწრო საერთო მუშაობას, მაგრამ ხალხმა მაინც გადაწყვიტა მისი დასჯა წინადაღეს დაუსწრებლობის გამო. როცა ი. მდივნიშვილმა დაინახა მისი სისაღმარებელი ბლამით მიმუჯალი ხალხი, მან, როგორც ჩვეულებია, ერთი ჩაივი დღიწი მითამხადა განსრტუმრებლათ. მაგრამ მისმა შვილმა კოდამ სულ სხვა ტახს მიმართა: რეფორმერთ და თოფით უბიურებდა გამახინძლებას. ამის გამო მდივნიშვილის მთელი ოჯახი ხალხმა ბოიკოტით დასჯა იმ დრომდე, სანამ „დაბოიოტრული“ თავისთავს დამინაშეგეთ არა სტნობდა და სახალხთ ბლამის არ მოახდიდა. ამ დღეს აჯორ მდივნიშვილი წარსდგა ხალხის წინაშე, ღიჯარა თავი დამინაშეგეთ, მოახდა ბლამი შვილის მაჯორა და თიხოვა პატიება. ხალხმა ერთხმით ახატია რახელაც გასრებულმა ახასხურმა მადლობა გამოუცხადა. სიმართლეთ მთათხარს ვთქვამთ, რომ აჯორ მდივნიშვილი მთელ სოფელში ცნობადია, როგორც ძლიერ პატიოსნა კაცი და ამიტომ

ხალხიც სამომავლო შეუნიდა მას. ხალხი განცეღარას აღარ ეკებდა და უფელადე სამხარის საქმეს თათთ სწყვეტს. ცოტა არ იყოს, დროებით ვაღდებულათ და მათი ნაბატონარების ურთიერთობა ვერ არის რავზე დაქვებული. რადგანაც ნაბატონარები გულხეზე უფრო გასწულებული არან, მოინდომეს ამ წელისთვის კამპრამისათ გაეთაყვინათ საქმი, მაგრამ ამის შესახებ მოღმარებების არაფერი შედეგი არ მოუჯა.

ტახები ისე შეკვეთეს სხვაგამო და საზოგადოთ რატოსი რომ აღმინისტრაცია ასეთი რამ არც კი დასიხმრებია,

სხვათელი.

რუსეთის ქრონიკა.

ვარშავის მექანიკურ ზავოდის ლოლობოის მუშები დაითხოვეს, ზავოლი დახურეს და ერთი როტა სალდათები ჩააცუნეს. იმ მუშებმა, რომელთაც სურთ მუშაობის დაწყება წერილობითი უნდა განაცხადონ.

(რ. ს.).

ამ უკანასკნელ დღებში ქ. ხარკოვის ქუჩები ჯარის კაცებით არის გაქვლილი, რომლებიც ჯგუფ-ჯგუფათ ქუჩებში დადიან.

(პრაეო).

სალ. როსტოვეში ვლადიკავკახის რკინ. გაზაზე. ყველა უმთავრეს ადგილებში ჯარის კაციბა დაყენებული ტელეგრაფის მართულებების დასაცვლათ.

(დ. რ.).

ამ ჟამთ სევასტოპოლში 1000 მატროსებია დაბატონრებული. კონსტანტინოვის ბატარეაში „პრუტზე“ არიან ყველა დამწყვდეული. სხვათა შორის შეამჩნიეს, რომ ლამ-ღამობით ლამობთ ქალაქის ზოგიერთ სახლობში ელაპარაკებინ რალაცას. კამანდერის ბრძანებას მოვილიან, რომელიც ოფიცრებს ბულვარზე სეირნობას აუკრძალავს.

(სალგრე).

ატაკრიკიდან „რუსეთს სლოვოს“ ატკობინებენ, რომ სოფ. ტურკოვის ახლოს გუბერნატორს სამჯერ ესროლეს. მსროლელი მიიძალა.

ნიკოლაევში სამხედრო წესები გამოცხადდა და სამასამდე კაცი სხვა და სხვა რუსეთის კალაქებში ვადასახლდა.

(ს. ი.).

ეკატერინოსლავში პოლიციის ხალობან შეტაკება მოუვიდა და შეტაკების დროს უბნის ზეღამხედველს სახეში გოგირდის სიმეფე შეახსეს, რამაც საუკუნოთ დასახიჩრა.

(რ. ს.).

როგორც გაზ. „Риж. В. ვადმოვეცემს კურლიანდის გუბერნიამი აგრარული მოძრაობა მეტათ გამოწევდა. მემამულეებს ძლიერ ავიწროებენ, სახლკარს და მამულებს ანადგურებენ, მემამულეებს ელეტენ. ვარზინიდან მემამულეების ქონების დასაცვლათ ჯარი გამოიწვიეს. სოფლის მამასახლისი მძიმეთ დასჭერეს. მიტავის ახლო მახლო დიდ არეულობას ელიან. ვოლგუნდში აჯორის ქარხნის მუშები ადელდენ.

გომელში 18 ივლისს დღის 12 საათზე, როცა როტიმსტრი შებეკო და ნოვიკი გენერალის ქუჩაზე მილიოდენ ვილაც უცნობმა ორმა ახალგაზღამ, რომლებიც ეტლში ისხდნენ, ყუმბარა ესროლეს, მაგრამ ყუმბარა არ გასკდა. ახალგაზღამი მიუხედავათ იმისა, რომ ყანდრებმა რევილივერი ეს-

როდეს გაიქცენ. პოლიციამ შეიპყრო „მეტლუ“, რომელმაც ახალგაზრდების ცნობაზე უარი განაცხადა. როტმისტრ შემგეომ დიდი ხანი არაა, რაც გამელში სამი საიდუმლო სტამბა აღმოაჩინა და რამდენიმე არალეგალური წიგნების საწყობიც.

(Южн. Кр.).

კალიშის მუშები, რომლებიც ამხანაგებში მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ აგიტაციას ეწეოდნენ, გუბერნატორმა აღმინისტრაციული წესით დააპატიმრა.

(რ. ს.).

ქელექტონის მაგიერი.

დიდი ხანი არ არის მის შემდეგ, რაც ეს ამბავი მოხდა. არც ის ქვეყანაა მიანცა და მიანც შორს, სადაც ეს ამბავი მოხდა.

ქვეყანაზე უსაკვირალი არაფერი არ არისო, ამბობენ და, თუ კი ასეთი თქვა მართალია, არც ეს ამბავი ყოფილა გასაკვირალი. ის ქვეყანა, სადაც ჩვენი პატარა ამბავი მოხდა, ამჟამათ ძალიან არეულ-დარეული ქვეყანაა და მისი გამგე-მმართველი დიდ საგონებელშია ჩაგარდნილი.

მას ისე უცებ გამოეცალა ხელიდან ლავი-ალვირი, რომელიც ქვეყნისთვის აედვა პირში, რომ ყველას უეკირდა.

ალვირ ახსნილმა ქვეყანამ თავი აიშვა და განთავისუფლებულ რაშვიით გაიწია წინ. უკან დასტოვა თავისი მხედარი და სიხარულის ტიხვინით გაინაფარდა.

თუმცა მხედარმა ბრავანი მოაღინა მიწაზე, მარა თავისას მიანც არ იშლიდა და ზებირათ იქნებდა წალმა-ჯკულმა მათარას, რომელიც ძველი დიდების ერთათ ერთ ნაშთს წარმოადგენდა.

მაგრამ უკაცრავად, მკითხველო, ამ შედარებამ, რომელიც თავის თავათ ვერაფერი შვილია, შორს წამოყვანა და ისევ სჯობია შევჩერდე.

აი იმ ქვეყანაში, რომელიც მე რაშს შევადარე, სცხოვრობდა ერთი ვინმე ღვთის მსახური, გვაში ფრიად სპეტაკი და უმწიკლო. გვაშს ამას ებადა მრავალი თვალ-მარგალიტი და ბაჯალლო ოქრო, რომელიც აქვს მოყვასთაგან თვისთა, ვითარცა შესაწირავი ღვთისა.

არ იფიქრო, მკითხველო, რომ ამ წმიდა გვაშის ზრახვანი რაიმე ანგარებით ყოფილიყო შელახული. ღმერთმა დაგიფაროს ამნაირი აზრისაგან! მართალია, თვითონ გვაში, განცხრო-მასი და ფუფუნებაში ცხოვრობდა და თავისთვის არაფერს დაიკლებდა, მარა ეს მისთვის აუცილებელი იყო, რადგან დიდი მოვალეობა და პასუხის მეგობლობა აწვა თავს და თავის ფრიად საძწველო საქმეში მრავალი ქაზან-წყვეტა და ოვლის ღვრა სქიროდა.

ის იყო შუამავალი ხალხსა და ღვთაებას შორის. იგი ევედრებოდა ყოვლად წმიდა განგებას, რათა არ დაეგლო უყურადღებოთ ხალხი მრავალ ქირანხული; ჩოქეთთა და მკერლხე ცემით ლოცულობდა იგი წინაშე ძლიერი მეფისა და თავის ძალით ასაღვენათ დიან განუსაზღვრელათ მოიხმარდა სიმდიდრეს და თვალ მარგალიტსა მას, რომელიც მოყვასთაგან მიელო შესაწირავათ.

უფალმან არა ისმინა ვედრება ღ ფრიად დიდი განსაცდელი წარუგზავნა ღვთის მოსავსა მას.

ერთ საზარელ და შხამათ მოსაგონარ დღეს შემდეგი ბართი მოუვიდა:

„შეწვენიათა ღვთისათა გიცხადებ შენ, ჰოი მონაო, რომ თვალ-მარგალიტნი და ბაჯალლონი შენნი მე მომიდა. გიბრძანებ დაუტეო ოქრო ვერცხლი და სპეტაკათა და გან-

წმენდილათ შეუდგე წმიდასა ღვთის მსახურებასა, ხოლო სიმდიდრეს შენსას შესაფერთ მოვიხმარ მე მბრძანებელი.

ფერი ეცვალა ღვთის მოსავს. გაბრაზდა და განრიხდა, წყევალ-კრულვა გამოუცხადა მბრძანებელს და შეაჩვენა იგი. მოიწოლა მოყვასნი და უბრძანა მათ აეღოთ მახვილი წინააღმდეგ უღიერი მბრძანებლისა, რომელმან დაარღვია სულის სიმწვიდე მისი.

მრავალი მოყვასთაგანი დაემორჩილა მის ბრძანებას, ხოლო მრავალი უგუნური ასე სჯიდა:

„დღე რამდენიც უნდათ, იმდენი იომონ ჩვენივე გამოუდგარ სიმდიდრეზე; ყვავი ჩხიკვის მამილაა, გინდ ყვავს წაუღია გინდ მის მისწულს—ჩხიკის დარჩენიაო“. ესენიც შეაჩვენა ღვთის მოსავსა გვაშსა და გულოდგინეთ შეუდგა ოქრო ვერცხლის დაბრუნების საქმეს.

ამ დროს ბრძანებელი, რომელმაც შეურაცხყო ღვთის კაცი, მეტათ ძლიერი და ყოყორი იყო და არავისც წინააღმდეგობისა და მუქარის არ ეშინოდა.

მარა დრო იცვალა და დროსთან ერთათ გარემოებაც გადასხვაფერდა. როგორც ამ ფელეტონის დასაწყისში ვთქვი, ქვეყანა აირ-დაირია, სასტიკ მბრძანებელს ძლიერება დაეკარგა. „წყალ-წაღებული ხავს ეკიდებოდაო“, ნათქვამია და მანაც ერთ სისაცლო ხერხს მიმართა დაკარგული ძალის მოსაპოვებლათ. ერთს შევნიერს და ტკილათ მოსაგონარ დღეს ღვთის მოსავს გვაშს შემდეგი ბართი მოუვიდა:

„შეწვენიათა ღვთისათა გიცხადებ შენ, წმიდაო მამაო, რომ თვალმარგალიტნი და ბაჯალლონი შენნი მე აღარ მიდა. გიბრძანებ ჩაიბარო ოქრო ვერცხლი და არ დაივიწყო კეთილის მყოფელი შენი.“

სიხარულმა და აღტაცებამ შეიპყრო არსება მოხუცი გვაშისა. მოიწოლა მოყვასნი წილსა წმიდასა და გამოუცხადა სისიხარული ამბავი. შევედრა უფალს თვითონ და შეგვედრა, კეთილის მყოფელი, რომელმან დაუბრუნა ძვირფასი თვალმარგალიტნი დაბაჯალლო ოქრონი.

მარა იმ დროს, როდესაც წმიდა მოხუცი მხურვალე ლოცვით მიმართავდა განგებას, ვილაც თავებდმა მოყვასთაგანმა საშინელი სიტყვებით მიმართა ხალხს. მიინდომა უანგარო მოხუცის სამწყოსოსა ზედა გავლენის გაბათილება...

ვერ მოითმინა მოხუცმა ასეთი შეურაცხყოფა და უბრძანა ერთგულთათ თვისთა ვეგვმათ თავხედი მონა და თანამაზრენი მისნი, ხოლო თვითონ აიკრთვა შესამოსელი და მეყვეულათ დაუტევა წილი წმიდა.

გვემეს მონა უგუნური და თანამაზრენი მისნი, რამეთუ ბედნიერებასა შიგან მოყვასთასა შთაასხეს მათ შხამი მწარე.

თავენა.

კ ი ღ ვ მ გ ა კ ვ რ ი თ

ცნობის ფურცლის მეფელეტონე სიტყვა რომ ახორებული ტიპის „მწერალია“ ეს ჩვენ დიდი ხანია ვიცოდით, მაგრამ თუ ის ასე უეცი იყო არ გვეგონა.

„ცნ. ფურცა,“ მე 2881 ნომერში ის წერს: „მიწა იმის უნდა იყოს ვინც თვითონ მუშაობს მიწაზე“. ვაიძიან გლვხები, ამას თხოულობენ გლვხები, მერე რა პასუხი მისცეს მესამე დასვლემზე გლვხთა მოთხოვნილებას? რალაც სატკო ნატკრებს, სანადგლო ფულენის დაბრუნებას და საიჯარო ფასის შემცირებას დაპირდენ მხოლოდ, მერე ეს დააკმაყოფილებს გლვხებს? არა და არა! ამაში ღრმად დარწმუნებულნი არიან თვითონ მესამე დასვლემზე. პირველ-ყოვლისა, მესამე დასვლემზე არავის არას პირდებიან, იმიტომ რომ იმათ

ხელში არა არის რა. ჩვენ ველაპარაკებით ხალხს იმაზე თუ როგორ ჩავარდა ის ცუდ პირობებში, რათ ხდება რომ ის მთელი თავის სიცოცხლე შრომობს, სისხლის ოფლს აქცევს, უთვალავ სიმდიდრეს ქმნის, მისი შრომით სხვები სარგებლობენ, ფუფუნებაში და განცხრობაში ცხოვრობენ და ის კი მუდამ მშვიდია, მოკლებული პოლიტიკურ უფლებებს, ყოველთვის დანაგრულია. ჩვენ ვიკვლევთ ამ უბედურების მიზეზებს და მათ მოსასპობათ ვეძებთ ნამდვილ, უტყუარ საშუალებას. ჩვენი აზრით მიზეზი დღევანდელი სიღარიბისა, უსამართლობისა და სოციალური უსწორ-მასწორებისა არის კერძო საკუთრება. გვიჩნდება რომ მიწა, ფაბრიკა-ქარხნები, შრომის იარაღები, საზოგადოთ ყოველივე სიმდიდრე, რაც დღეს საზოგადოების უმცირეს-ნაწილის ხელშია მოგროვილი, გახდეს საზოგადო საკუთრებათ. აი მაშინ დამყარდება ჩვენი აზრით ბედნიერება, მოისპობა ცარცვა-გლეჯა, პირადი შრომის მითვისება, ერთი სიტყვით, მოისპობა ყოველივე უსამართლობა, ამას ქვედა სოციალიზმი. მერე როგორ, რანაირათ უნდა განხორციელდეს ეს სოციალიზმი?

ძველათაც იყვენ სოციალისტები მაგრამ მათი შეხედულება სოციალიზმზე და ეხლანდელი შეხედულება სოციალდემოკრატებისა ამავე საგანზე სხვა და სხვა არის. წინანდელი სოციალისტები კლასთა ბრძოლას არაფერ ყურადღებას არ აქცევდენ. იმათ ვგონათ, რომ გაკირვების და უბედურების აღმოსაფხვრელათ საკმარისი იყო მხოლოთ მდიდრების გულკეთილობა, რომელნიც უხვათ ურავებდენ ღარიბ-ღატაკთ მოწყალებას. სანამ სოციალისტები ამ აზრისანი იყვენ, რომ ქვეყნათ ბედნიერების დამყარება შეუძლიათ მხოლოთ მდიდრებს, „კეთილ-შობილთა“ წოდებას, მანამდის მუშათა მოძრაობას ისინი არა თუ ანართლებდენ, ეწინააღმდეგებოდენ კიდელ, რადგანაც, მათი აზრით, ეს მოძრაობა ხელს უშლიდა სოციალიზმის განხორციელების საქმეს. მაგრამ დრონი იცვალენ. ეხლა აწაიარი მსჯელობა უნაყოფო ოცნებათ ითვლება. დღეს ყვეოას სწამს, რომ ხალხის ხსნა უბედურებისაგან ზეიდან კი არა ხდება, ხდება ქვევიდან, რომ ხალხმა უნდა შეიგნოს მიზეზი თავის უბედურებისა და თამამათ შეებრძოლოს იმ დაბრკალებას, რომელიც ხელს უშლის მის წინსვლას, მის ბედნიერებას. ხალხმა თვითონ უნდა უშველოს თავის თავს, თითონ უნდა მოიხსნას ის უღელთა, რომელიც მას კისრებე ადევს, უნდა შეიგნოს ამის საკიროება, უნდა მიხედეს, რომ მხოლოთ შეერთებული და შეგნებული ბრძოლით შეუძლია მას მიახწიოს თავის საწადელს, თავის იდეალს-სოციალიზმს. ამიტომ არც ერთი მესამე დასელი არ პირდება ხალხს, რომ ჩვენ დავირიგებთ მიწას, ჩვენ დავამყარებთ ამ წუთში სოციალიზმს და მით გაგაბედნიერებთო. არ ეტყვის ამას იმიტომ, რომ სოციალიზმი ფლავივით არა რიგდება, როგორც ეს ბ, სიტყვას გონია, მისი განხორციელების საკიროება უნდა შეიგნოს თვით ხალხმა, უნდა შეიგნოს, რომ კერძო საკუთრება, რაზედაც არის დამყარებული დღეს საზოგადოეარიკი წყობილება, არის წყარო ყოველივე უბედურებისა და გაკირვებისა. როდესაც ამას შეიგნებს უმეტესი ნაწილი საზოგადოებისა, მაშინ სოციალიზმის განხორციელება ადვილი საქმეა. დღეს კი, როდესაც საზოგადოების ცხრა მეთოდი კერძო მესაკუთრება, როდესაც ხალხის უმრავლესობა ამ კერძო საკუთრებაში ეძებს სიკეთეს და მახე ამყარებს თავის ბედნიერებას, ღაპარაკი სოციალიზმის ეხლავე განხორციელებაზე უგუნურობაა. რაა გონია ბატონ სიტყვას, რომ ჩვენ ვეუბნებით მუშა ხალხს, რომ ფედერალისტების აზრით „სოციალიზმის განხორციელებაა სამერმისო საქმე“, ამას ჩვენ არასოდეს არ დავსწამებთ ფედერალისტებს,

რადგანაც დარწმუნებულნი ვართ რომ იმათ ვერ შეუგნიათ ის ან-ბანური ქეშმარიტება, რომ სოციალიზმის განხორციელება „სამერმისო საქმეა“ და არა აწმყო. დიახ, ბატონო სიტყვა, თქვენ არ გესმით რა არის სოციალიზმი და, თუ შეგიძლიათ, გირჩევთ შეისწავლოთ და მხოლოთ მერე დიწყოთ ამ საგანზე წერა, რადგანაც თქვენი ბავშვური მსჯელობით, არა თუ ვერავის არწმუნებთ, პირიქით, მეტათ სასაცილო მდგომარეობაში აყენებთ თქვენსავე თავს.

„მესამე დასელები ამყარებენ თავის იმედებს. მხოლოდ საკუთრებას მოკლებულ პრალეტარიატზეო“, ამბობს ბატონი სიტყვა. დიად, ჩვენ სწორეთ ამ საზოგადოების ნაწილზე ვამყარებთ ჩვენ იმედებს, მაგრამ ისიც ვერწამს, რომ რაც უფრო გათვითცნობიერდებიან გლეხკაცები და, საზოგადოთ, წვრილი მწარმოებელნი, მით უფრო შეიგნებენ სოციალიზმის საკიროებას, მით უფრო მიხვდებიან, რომ მათი ქიშპობა და კონკურენცია სხვილ წარმოების წინააღმდეგ ამაოა და შეგნებულათ და თავის ნებით პრალეტარათა მებრძოლ რაზმს შეუერთდებიან *). ამ შეხედულებას ვამყარებთ ჩვენ ისტორიაზე ცხოვრების სინამდვილეზე და არა უნაყოფო ოცნებაზე, რომელსაც სინამდვილესთან საერთო არა აქვს რა. დიად, თქვენ ოცნებობთ ბატონო სიტყვა, ოცნებობთ ბავშვრათ, ხალხი კი იმდენად გათვითცნობიერდა, რომ მაგ თქვენ ბავშვურ ტიტინს ღირსეულით აფასებს და ღირსეულითვე გისტუმრებს ხოლმე უკან. ბატონ სიტყვას უყვირს, რომ ჩვენ იმასვე არა ვთხოვლიბთ, რასაც საფრანგეთში გედისტები კომუნებისა და კოპერაციებისთვის, გასაკვირველი აქ არა არის რა. ჩვენ მოვითხოვთ იმას, რაც ჩვენითვის გამოდგება, გედისტები ითხოვენ იმას, რაც მათთვის არის გამოსადგეო. სოციალ-დემოკრატია, სხვათა შორის, მითი არის მძლეაფი და მაგარი პარტია, რომ ყველგან და ყოველთვის ადგილობრივ პირობებს უთანხმებს თავის მოქმედებას. მხოლოთ იმას, ვისაც არაფერი გაულონია სოციალ-დემოკრატიაზე, შეუძლია მოთხოვოს ამ პარტიას, რომ სხვა-და-სხვა ადგილას და სხვა-და-სხვა პირობებში ერთი და იგივე მოითხოვოს; ნამეტურ კომუნებისა და კოპერაციების შესახებ, რომელზედაც ერთხელ და სამუდამო აზრია მიღებული პარტიაში, რომ ამაზე გადაჭრილი და ყოველგვარი პრაქტაკულით გამოსაყენებელი პასუხის მიცემა არ შეიძლება, რომ ეს არის პრაქტიკული კითხვა, რომელიც წყდება ადგილობრივი პირობების მიხედვით. ასე რომ არ იყოს, მაშინ სოციალ-დემოკრატები მატერიალისტები კი არა მეტაფიზიკები იქნებოდენ.

დიახ, ბატონო სიტყვა, შეიძლება ნორვეგიისთვის ავტონომია სასარგებლო იყოს, შეიძლება სოციალ-დემოკრატია იქ ემხრობობოდეს ავტონომიას, მაგრამ ემხრობიან იმიტომ კი არა რომ ავტონომია, საზოგადოთ, მუშათა პარტიის გამამტკიცებელი და გამამდიერებელი საშუალება იყოს, არამედ იმიტომ, რომ ადგილობრაფი ცხოვრების პირობება მოათხოვენ ამას. სწორეთ ამავე მოსაზრებით უარ-ვეყვით ჩვენც თქვენნი სოცენებო ავტონომია, რაც არა ერთხელ გვითქვამს. „მე-სამე დასელებს გული უწუხებო, ამბობს სიტყვა, რატომ ჩვენ მიერ დასუპარებულ ფრანგებს არ იწვორებთ თქვენცოაო, ჩვენ ყოვლად საზნღარ კოლის-წამებას ავრკებლებენ ფედერალისტების შესახებ: რომ ვითომ ფედერალისტები ზნუ-დატყეული აღამიანები არიან, ხალხის მიტყუარები და დამჩაგრელები, სხვისგან მოსყიდულნი და მოკრთამულნი, რომელთაც უნდათ აღადგინონ ძველი მეფობა და ბატონობა, გააბატონონ ბურჟუაზია და თავად აზნა ურობაო“ რაც შეეხება იმას, რომ ჩვენ

*) ამის შესახებ იხილეთ ჩვენი წერილი მოგზაურის №-26.

ვითომ ვწუხდეთ, რომ ფედერალისტები ჩვენ მიერ გაზვიადრებული ფრაზებს არ იმეორებენ—ეს ტყუილია. ჩვენ კარგათ გვესმის რომ ჩვენ აზრს ფედერალისტები ვერ გაიმეორებენ, რადგანაც ისინი ფედერალისტები არიან... წუხილი ჩვენი საქმე არ არის, მოთქმა-ჯიროლი, წუხილი, „მწარე ცრემლები“ და „სამი წერტილი“ უძლურთა საქმეა.

ჩვენ კი არა ვტირით ვებრძვით, ყოველ გვარ სიყალბეს, ყოველივე უგუნურებას, რომელიც თქვენისთანა პირებისაგან ხალხში ითვისება. რაც შეეხება იმას, რომ თქვენ ბურჟუაზიის და თავდაზნაურობის გაბატონება გინდათ—ამას თქვენ, როგორც წერით, ისე მოქმედებითაც ამტკიცებთ, რაზედაც არა ერთხელ და ორჯერ გვეჩივრებთ ლაპარაკი. შეგნებულათ, თუ შეუგნებულათ, ხალხის მატყუარებიცა ხართ, რადგანაც თქვენი შეხედულება სოციალიზმზე და მის განხორციელებაზე, თქვენი დაპირება, რომ ხალხს გაამდიდრებთ და ამ გაამდიდრებით სოციალიზმს დაამყარებთ, წარმოადგენს ყალბ აზრს, რომლითაც ხალხი შეიძლება მოტყუვდეს და სწორ გზას ატდეს. თქვენ ლაპარაკობთ და არწმუნებთ ხალხს, რომ ფედერალისტები მისი მეგობრები არიან; მერე რითი ამტკიცებთ ამ თქვენ მეგობრობას? თქვენ წარსულს ხალხის სამსახურთან საერთო აოა აქვს რა. აწუგოში კი არას აკეთებთ... მოიგონეთ ის დრო, როდესაც ხალხის ნამდვილ მეგობრებს ჯერ სამახსარაო იღებდით, მერე დევნიდით, ხალხის მოღალატეს უწოდებდით. „მესამე დასელები“ საგინებელ სიტყვათა გადაქციეთ, ხოლო მუშებს უგუნურ ბრბოს უწოდებდით. იმ დროს, როდესაც ეს „უგუნური ბრბო“ თავის თავის და კაცობრიობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ მტერს მადგრათ ებრძოდა, თქვენ სადღაც შორს იყავით მიმაღული... ეხლა კი, როდესაც ამ „უგუნურების“ წყალობით ქვეყანა გამოფხიზლდა და თქვენისთანა მხალ კაცუნებსაც კი ხმა ამოაღებინა, გამოღიხარებ და ხალხის მეგობრათ მოგაქვთ თავი?!. სინიღისი, სინიღისი რას გეუბნებათ, როდესაც ამას შერებთ. რას გეუბნებათ სინიღისი თქვენც ბატონო სიტყვა, როდესაც შემდეგ სიტყვებსა სწერთ: „რატომ არიან მესამე დასელები ავტონომიის მოაწინააღმდეგენი! ეს უპირველესათ მათი უვიცობის, დაკრების და ვიწრო თავმოყვარეობის ბრალია, მაგრამ არის ერთი უფრო საყურადღებო მიზეზიც. მესამე დასელები ეტრფიან ცენტრალისმს. ეტრფიან მთავრობას ამიტომ, რომ ღრმას ბაკებს სტეჟინ მთავრობას და დიდა იმედი აქვთ მისი. მთავრობის მოყოფა კი უოველთვის ცენტრალისტია. რადგან ცენტრალისტურა მთავრობა უფრო ძლიერია, ვიდრე არა ცენტრალისტურა“ (კურსივი ჩვენია).

გამოდის რომ ავტონომიის წინააღმდეგნი მესამე დასელები მხოლოდ იმიტომ არიან, რომ მთავრობა უყვართ, ღრმა პატივს ცემენ მთავრობის და დიდი იმედი აქვთ მისი, ხოლო მთავრობის სიყვარული და მათე იმედების დამყარება ნიშნავს ხალხის ინტერესების უარის ყოფას, ეხლანდელი განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ ამხედრებას ხალხის და ლატს, რენეგატობას, ერთი სიტყვით, ყოველივე სისაძაღლეს. ნუ თუ ეს საზიზღარი, უსენიღისო ცილის წამება არ არის?! შეიძლება ბატონი სიტყვა ჰკუთახე შეცდა. ამ შემთხვევაში ის სიმბოლურის ღიკისა, მაგრამ თუ ის ამ ქორს განზრახ თხზავს საზიზღარი ცილის მწამებელი ყოფილა, რომელთანაც კამათის გაგრძელება შეუძლებლათ მიგვაჩნია...

სან-დონი.

თანამედროვე კითხვები.

ვ. ბრაკისი. (თარგმანი)

„ძირს სოციალ-დემოკრატები!“ ჩვენ ხშირათ გვსმენია

ამგვარი ძახილი. უთუოთ შენც გაგგვანება, საყვარელო მკითხველო, ეს სიტყვები! შესაძლოა შენც წამოგვცდენია ეს სიტყვები როდისმე და თუ არ გითქვამს, თქმის სურვილი მაინც გექნებოდა. რა ბოროტ მოქმედება გინდათ, რომ სოციალ-დემოკრატებს არ აბრალედე ადამიანები! განა ისინი არ აპირობენ, როგორც ამას ხშირათ ბევრი ამტკიცებს, მოსაზონ ყველაფერი, რაც ჩვენთვის წმინდათ ითვლებს, —საკუთრება, ქონწინება, ოჯახი? განა მათ არ აბრალედე წყას და მკვლელობას? შეიძლება შენც ასე ფიქრობდი, საყვარელო მკითხველო, და თუ შენ არ გიფიქრია ეს, უთუოთ შენი მეზობელი მაინც იფიქრება.

მაგრამ, თუ შენ მართლა მოგვსლია თავში ამგვარი აზრი და თუ ამასთანავე სერიოზულათ გიკითხავს შენი თავისთვის: რა იცი შენ სოციალდემოკრატებზე? —უთუოთ უნდა გებასუნხა შენი თავისთვის, რომ შენ იცი მათზე დანამდვილებით ძალიან ცოტა. სოციალდემოკრატების კიცხვის დროს შენ გხელმძღვანელობდა არა მათელი წარმოდგენა იმის, რომ სოციალდემოკრატული მისწრაფება გამოუსადეგარია, არამედ რაღაც არეული, გამოურკვეველი გარნაბა რაღაც არა სასურველისა. მაგრამ ადამიანი უნდა იცოდეს რასაც აკეთებს; როდესაც ის სდევნის და იძულებს სხვას მისი მისწრაფებისათვის, მაშინ იგიერთ დარწმუნებული უნდა იყოს თავის სიმართლეში. მე ხომ უშაღლეს წერტილამდე მტყუანი ვიქნებოდი, რომ მძულდეს და ვსდევნიდე ისეთ კაცს, რომელსაც სურს განახორციელოს რაიმე სამართლიანი და გონიერი. აბა ენახათ, ჩემო სმყვარელო მკითხველო, რა უნდათ სოციალდემოკრატებს, მე ჩემი თავი ამ მხრით საკმაო მცოდნეთ მიმჩნია და გვირდები, მკითხველო, რომ ყველაფერი, რასაც მე ვიგამობ, იქნებასრული ქეშმარიტება, რადგან ვიცი, რომ ვინც ტყუის, ცემი უნდა!

სოციალდემოკრატებს უნდათ ყველაფრის გაყოფა. ეს აზრი მიღებულია, როგორც სრულათ დამტკიცებული ფაქტი. ყოველი ადამიანი ვალდებულია მისცეს ყველაფერი რაც რამე აქვს. მერე შეუღებთან მთელი ქონების თანასწორათ განაწილებას და თვითველი მიიღებს თავის ხვედრს, რომელსაც უპატრონებს თავის სურვილისაჰებრ. თუ ამის შემდეგ ერთი ბევრს დახარჯავს და მეორე ცოტას, რის გამო ისევ ქონების უთანასწორობა გაჩნდება, მაშინ ისევ შეუღებთან ხელმეორეთ განაწილებას და ასე ამგვარათ. უპირველეს ყოვლისა უნდა განაწილდეს ფულიები და მიწა.

ახლა მითხარი, საყვარელო მკითხველო, გინახავს შენ როდისმე იმნარი ადამიანი, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილის მზავს რამეს თხოულობდეს? რასაკვირველია, არა! ანნაირი ხალხი ქვეყანაზე არც არის და არც არასოდეს ყოფილა! ამგვარი განაწილების მოთხოვნა იქნებოდა უდიდესი უგუნურება. იფიქრე, მკითხველო, ამ შემთხვევაში ვის უნდა რგებოდა რკინის გზა? ერთს ერგებოდა ლიანდაგი, მეორეს ლოკომოტივები, მესამეს ვაგონები და ასე ამგვარათ. ყველას უთუოთ თანასწორათ უნდა მიეღო ანისთვის კი მეტი საშვალემა არ იქნებოდა; უნდა სრულიათ დაენგრიათ რკინის გზა. ერთი წაილებდა სახლში ბობლიდან გამოძვრალი ღერძის ნატებს, მეორე ვაგონის კარის ნახევარს, მესამე ბურღეს, მაშინ როდესაც შეიძლება მეოთხეს დაგროვებული ნავის ნაწილი რგებოდა. ამისთანა რამეებს საგიუწია ცერ მოიფიქრებენ. ფულების და მიწის განაწილება შორს მომავალში მაინც იქნება მოსახერხებელი, მაგრამ ფული და მიწა ხომ არსებული ქონების ნაწილს შეადგენს, —ამასთანავე ფული—მხოლოდ სრულათ უმნიშვნელო ნაწილს, რაც შეეხება მიწას, ამ შემთხვევაში საკირო იქნებოდა იმდენი საოჯახო შენობების ქონა; რანდენი

მიწის ნაქერი იქნებოდა, და თვითველი ამგვარი ჭოჯახის პატრონისთვის უნდა მიეცათ მისი მიწის დასამუშავებლათ საჭირო ყოველგვარი სამუშაო იარაღები! ყოველივე ამის გამო მიწის განაწილება სრულიათ მოუხერხებელია, და სოციალ-დემოკრატებმა დიდი ხანია კარგათ იციან, რომ ამ საშვალე-ბით არ შეიძლება არც ერთი ადამიანის დახმარება.

საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს, 1789 წელში, გადასწყვიტეს საფრანგეთის გლეხების გაბედნიერება იმით, რომ გაუნაწილეს მათ დიდი მამულები. რა შედეგი მოჰყვა ამ ზომას? საფრანგეთის გლეხების სიღარიბე აღწევს იქამდე, რომ მილიონობით იძულებული არიან ისინი იცხოვრონ ისეთ „სახლებში“, რომელთაც მხოლოდ თითო კარი აქვს და არც ერთი ფანჯარა და უკეთეს შემთხვევაში კი თითო კარი და თითო ფანჯარა! გერმანელი საშუალო გლეხის მდგომარეობა კი უკეთესია?

ეს შეიძლება ითქვას მხოლოდ გერმანელი გლეხების უმცირეს ნაწილზე, მხოლოდ სხვილ შესაკუთრებზე.

წეროლი გლეხი კი იძულებულია იშრომოს, წელზე ფეხი დაიდვას, თუ უნდა თავი დაახწიოს და ეზო და სახლკარი შევალისაგან გადაარჩინოს; ხშირათ კი ამასაც ვერ ახერხებს. ეს წარმოდგება იმ მიზეზის გამო, რომ სოფლის მეურნეობის ეხლანდელ მდგომარეობაში, ეს მეურნეობა მაშინ მოუტანს პატრონს ნამდვილ სარგებლობას, თუ შეძლება ექნება დაიმუშაოს ცოტათ თუ ბევრათ დიდი მიწის ნაქერი ყოველ-გვარი გაუმჯობესებელი სამუშაო იარაღების შემწეობით. სოციალდემოკრატებმა კარგათ იციან ეს და, ამიტომ ცხადია, მათ თავშიაც არ მოუვით აზრი მიწის განაწილების შესახებ. წინააღმდეგ ამისა, სწორეთ მიწის განაწილების საწინააღმდე-გოს თვლიან ისინი სასარგებლოთ ყველასათვის და თვითუ-ლისთვისაც; ისინი ხელმძღვანელობენ იმ შეხედულებით, რომ შოვა დრო, როდესაც ერთი სოფლის გლეხები შეერთდებიან, თავის მიწების შესამუშავებლათ, რასაკვირველია სრული სამართლიანობით. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ვერ შესძლებენ მეტოქობა გაუწიონ სხვილ შესაკუთრებებს, რომელთაც საკმაოთ ექნებათ განკარგულებაში ყოველგვარი გაუმჯობესებელი სამუშაო იარაღები.

აქედან ცხადია, რომ რასაც უბედობენ მიწის განაწილე-ბის შესახებ, როგორც სოციალდემოკრატების მისწრაფებაზე, სრული სიკრუეა! სოციალდემოკრატების მოწინააღმდეგეები, რომელნიც ამისთანა რამეებს იკონებენ, არამც თუ უღმერ-თით ახევენ გერმანელ გლეხებს სიკრუის ბადეში, არამედ შეურაცხყოფასაც აყენებენ მათ: გერმანელი გლეხი ახლა აღარ არის ისე სულიერი, რომ მან დიდხანს დაიჯეროს ამ-გვარი მტკნარი სიკრუე. სწორეთ ამ სიკრუეს ავრცელებენ სოციალდემოკრატების მოწინააღმდეგეები.

ამ გვართ მიწის განაწილების ისტორია ბოლოს არაოათ იქცა. რაც შეეხება ფულის განაწილებას, ამის შესახებ გიამ-ბობთ ერთ არას, რომელიც მოგონილია იმ მიზნით, რომ მასხარათ აეგდოთ ხალხის მისწრაფებანი.

ამბობენ, რომ 1848 წელს, ერთხელ, როდესაც როტ-შილდი დასაქმობდა ქალაქ ფრანფურტის ბაღში, იმასთან მივიდა ორი მუშა და უთხრა: „უფალია როტშილდი! თქვენ შლიდარი კაცი ხართ, ინებეთ და გავცინაწილოთ თქვენი ქო-ნება!“ ამ წინადადების საპასუხოთ როტშილდმა დამშვიდებით ამოიღო ჯიბიდან ქისა და უთხრა მათ: „დიდი სიამოვნებით ვასრულებ თქვენ წინადადებას, მით უმეტეს, რომ ძალიან ადვილი საანგარიშებელია: მე მაქვს 40 მილიონი გულდენი, (უნდა გენახათ რა გეხარდა „მუშებს“ ამის გაგონება!) გერ-მანიაში კი 40 მილიონი მცხოვრებია. მაშასადამე თითო გერ-

მანელს შეხვდება თითო გულდენი. აი, ინებეთ და მიიღეთ თქვენი წილი! ამ სიტყვებით მისცა მან თვითველ მათგანს თითო გულდენი და, სანამ სახტათ დარჩენილი მუშებია ათვალიერებდენ მიღებულ გულდენს, როტშილდი მხიარული ღიმილით გაუღდა თავის გზას!

აქედან ცხადია, რომ ზღაპარი ფულის განაწილების შე-სახებ არაოათ იქცევა.

საჭირო არ არის გონების განსაკუთრებული სისახვილე იმის გასაგებათ, რომ სოციალ-დემოკრატია, რომელიც შეი-ცავს ასეთ აუარებელ ხალხის რიცხვს, არ დაისვამს ასეთ სულელურ მიზანს. რასაკვირველია არიან ქვეაზე შემედარე-ბიც, მაგრამ ნუთუ ქვეაზე შეცდა ყველი ის 3010771 კა-ცი, რომლებმაც უკანასკნელი რეისტრის არჩევების დროს სოციალ-დემოკრატებს მიცეს თავიანთი კენჭი. ეტ-ყობა აქ სხვა რამე უნდა იყოს! სოციალ-დემოკრატე-ბის რიცხვი შეუჩერებლივ მატულობს. მაშ ამ საქმეში რა-დაც სხვა იმალება! თუ შევისწავლით ჩვენ ამ კითხვას გაზე-თების, კრებების და სოციალ-დემოკრატიული ლიტერატურ-რის შემწეობით, დაერწმუნდებით, რომ სოციალ-დემოკრატები არამც თუ არ აპირებენ გაყოფის და განაწილების შემოღე-ბას, არამედ წინააღმდეგი არიან ამისა: მათ უნდათ მოსპონ ყოველგვარი გაყოფა და განაწილება! ეს რაღაც უცნაურათ ეჩვენება ზოგიერთს, მაგრამ ნამდვილათ კი ასეა! სოციალ-დე-მოკრატები იმ აზრისანი არიან, რომ გაყოფა და განაწილება სწორეთ ახლ ა არის გაბატონებული. ისინი ამბობენ, რომ ეს განაწილება მთელ ქვეყანაზე ხდება სრულიად უსამართ-ლოთ. მოიფიქრე მხოლოდ, მკითხველო რა ზორბა-ზორბა თანხებს ირგებენ ხოლმე თვითონ „პატიცემულნი მწარმო-ებლები“, რომელნიც, მიუხედავთ ასეთი უსამართლო განა-წილებისა, სარგებლობენ ყველგან და ყოველთვის წარჩინე-ბით და პატივისცემით. რამდენი ხელოსანი, გლეხი, მოხელე და მუშა იღებს ამის გამო ხელს თავის პატარა საკუთარი შრომით შეძენილ ქონებაზე?

სოციალ-დემოკრატებს არ გამოუგონიათ პირველათ, რომ სწორეთ ახლა არის გაბატონებული განაწილება საში-ნელი უსამართლო ფორმით. მათ გაიგეს ეს იმ ხალხისაგან, რომელიც თავის მიმართულებით სოციალ-დემოკრატების მო-წინააღმდეგეებს ეკუთვნოდა. ინგლისელი მილი, ერთი ყვე-ლაზედ უფრო ნაქებ მეცნიერთაგანი და ამასთანავე სოცია-ლისმის წინააღმდეგი, კაცი, რომლის ქება ყოველ ქვეყანამ-დის მიადწია, ამბობს ერთ თავის თხზულებაში შემდეგს:

„ჩვენ ვხედავთ, რომ ამდროში შრომის ნაყოფის განა-წილება ხდება შრომის მიხედვით უკულმა პროპორციონალუ-რათ, ასე რომ მეტი წილი იმ ხალხს ეძლევა, რომელსაც არასოდეს არ უმუშაია; ყველაზე მეტს ისინი ითვისებენ, რომელთა შრომა ნომინალურია და ასე ამ გვართ: ძირს დაწვეით კლებულობს ჯილდო და მატულობს შრომა, სანამ შრომის ჯილდო არ დამცირდება იმ ზომამდე, რომ მისი სამაგიერო შრომა ხდება უმძიმესი და აუტანელი; სანამ, ბოლოს ყველაზე უმძიმესი და ადამიანის გამანადგურებელი ფიზიკური შრომა არ მიადწევს იქამდე, რომ მაში აღებული ჯილდო ვერ დააკმაყოფილებს ადამიანის უსაქიროვს მოთხო-ნილებასაც კი“.

ქვეშაობით საშინელება ყოველივე ეს, მაგრამ, საყვა-რელო მკითხველო, მიმოიხედე გარშემო, დაუკვირი შენ გამოცდილებას და დანიხავ, რომ ყოველივე ეს სრული ქეშ-მარიტება არის!

ვისკენაც ყოველ დღე მიისწრაფვის ყოველგვარი სიმ-დიდრე, ვისაც შეუძლია ერთი სიამოვნებიდან მეორესაკენ

გაეშუროს, შეიძლება მთელ თავის სიკაცხლეში არ გაეკეთებინოს არავითარი სასარგებლო საქმე.

სრულად უშრომელათ ისინი თავისებურ სხვისა შრომის ნაყოფს.

აბა შეხედე „თავის ოფლით“ მშრომელთ! შეხედე მუშას, რომელიც იძულებულია გაყიდოს თავის სამუშაო ძალა! თუ ის მარჯვეა, ბეჯითა და ღონიერიც, თუ მას ბედი არ ღალატობს; მაშინ ხან და ხან კიდევ შეიძლება გადასდოს რარი გროში შავი ღლისათვის. მუშების უმეტესი ნაწილი კი ვერ აღწევს აქამდე, თუმც მთელ მის სიკაცხლეში აუტანელაა შრომობს. როდესაც ესენი იძულებული ხდებიან ხელი აიღონ მუშაობაზე, ამ უკანასკნელ დღესაც ისევე ღარიბები რჩებიან, როგორც იყვნენ იმ პირველ დღეს, როცა მუშაობა დაიწყეს. რამდენია იმისთანა, რომ, მიუხედავად აუტანელი შრომისა, ვერ დაიხსნის ვერც თავის თავს და ვერც მახლობლებს შამილისა და გაქირავებისაგან. ვასიერინე, ჩემო მკითხველო, სიღვინისაკენ, საქსონისაკენ, რეინისაკენ და ან ჩვენში გერმანიის მშვენიერ სამშობლოს სხვა ადგილებისაკენ! შენ შეხედება ყველგან ფეხ შიშველა, თავლებ ჩაცვივრულ ხალხს, რომელსაც დაკარგული აქვს ყოველგვარი იმედი. თუ მოინდომებ მათა ვინაობის გაგებას შეიტყობ, რომ ისინი არიან ბეჯითი, მშრომელი მუშები; რომ არსებობს ათასი და ათათასი უსახლკარო მშრომელი, როგორც სოფლებში, ისე ქალაქებში! წერილი მოხელეები კი უკეთეს მდგომარეობაში ცხოვრობენ? განა ბევრია ისეთი მოხელე, რომელსაც, მიუხედავად აუტანელი შრომისა, შეუძლია გადასდოს რამე თავის ჯამაგირიდან შავი ღლისათვის? არა! ეს ასეა, თუმცა ვიცით, რომ მოხელეების უმრავლესობა მუშაობს და მუდამ მძიმე შრომას ეწევა. ასეთ მდგომარეობაში არიან სწორედ წერილი მოხელეები, რომელთაც უმცირესი ჯილდო ეძლევათ შრომის ფასათ. რამდენათ უფრო მაღალი ადგილი უჭირავს მოხელეს, იმდენათ მცირეა მისი შრომა და იმდენათ მეტია მისი ჯილდო. არიან ისეთი მოხელეები, რომელთაც უშველებელი ჯილდო ეძლევათ და შრომობენ ძალიან ცოტას და ან სულ არა. ესლა შეხედეთ ხელოსნებს. ზოგიერთი პირები კიდევ ახერხებენ ამ დარგიდან სწორ გზაზე გამოსვლას. ზოგ მათგანს შეიძლება არ აწუხებდეს გაქირავება, მაგრამ მათი დიდი უმრავლესობა ეწევა სასტიკ ბრძოლას გაქირავებისთან, რომელიც მით უფრო ძნელი ხდება მათთვის, რომ მთელი მათი არსებობა დამოკიდებულია მათზე, თუ რამდენათ შესძლებს ხელოსანი დაიცვას თავის პატარა საკუთარი წარმოება დიდი ფირმების და წურბელა მეფეების მეტოქეობისაგან. ათასი და ათათასი ხელოსანი იღუპება ამ ბრძოლაში, კარგავს დამოუკიდებლობას და ხდება მოქირავე მუშაო. ხელოსნობამ დიდი ხანია დაკარგა თავის „ოქროს ძირი“. ერთი დიდი მექაზნე აქრობს ასობით მწარმოებელს, ესე იგი, ხელს ადებინებს მუშაობაზე და აკარგინებს არსებობის საშუალებას. ეხლანდელ დროში, როცა სასტიკი ბრძოლა ხდება მეტოქეობაში, არსებობა შეუძლია მხოლოდ მას, ვინც ახერხებს იხმაროს წარმოებაში დიდი საშუალება, დიდი კაპიტალი. იგივე ხდება ვაჭრობაშიც. წერილ ვაჭრებს ცუდი დღე ადგებათ მაშინ როდესაც სხელი ვაჭრები იძენენ უტირლხ სიმდიდრეს. დაახლოვებით ამასვე ვხედავთ სოფელშიც. წერილი გლეხი ძლივს იმაგრებს თავს აუტანელი შრომის შემწეობით; მათი უმეტესი ნაწილი საბოლოოთ დატაკდება. ერთი სიტყვით, რომ მოინდომოს კაცმა გლეხების დახასიათება, ბედნიერთა მცირე რიცხვის გამოკლებით, შეიძლება თქვას, რომ გლეხკაცობა დატაკდება. აქ მოქმედობს მეფეზე, რომელიც მოხერხებულათ სარგებლობს გლეხის გაქირავებით;

გლეხს კი გაქირავებაში ცუდი მოსავალიც ჩაადგებს ხოლმე. ჩვენ ხშირათ ვხედავთ, რა საჩქარით გადადის სხვა და სხვა საკუთარი ოჯახი ერთი კაცის ხელში, როგორ ყლიდან წერილი გლეხები თავის საკუთარ მიწებს მსხვილ მესაკუთრებზე. მხოლოდ ამ უკანასკნელებს შეუძლიათ ნამდვილი სარგებლობა გამოიტანონ მიწათმოქმედებისაგან. აქედან ცხადათა ჩანს, საყვარელო მკითხველო, რომ მუდამ მშრომელი ხალხი ვერ იძენს სიმდიდრეს, რომ მათ ხშირათ ეწვევათ ხოლმე გაქირავება, მწუხარება და სატანჯველი. ისიც ცხადია, რომ ეს მშრომელი ხალხი ქმნის იმ სიმდიდრეს, რომელიც საკმაოთა აქვს იმ ხალხს, რომელიც უსაქმოდ დახეტიალობს, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება შრომობდეს, მაგრამ ისე ცოტას, რომ სალაპარაკოთაც არა ღირს. ბეჯითი, მშრომელი მუშა ძლივს ახერხებს არსებობას! სიმდიდრე კი მათ ეკუთვნის, ვინც არასოდეს არაფერს არ აკეთებენ და თუ აკეთებს რაფს, ისიც ისეთ რაფს, რაც არავისთვის სასარგებლო არ არის! ნუთუ აქ სამართლიანობა არის? რასაკვირველია, არა!

ინგლისის მთავრობის განკარბულებით მოახდინეს გამოანგარიშება, თუ რა ნაწილი ეძლევა მთელ ინგლისის მშრომელ ხალხს მთელი ინგლისის ხალხის შემოსავლიდან და რა ნაწილი ეძლევა ისეთ ხალხს, რომელიც სრულიათ არა შრომობს. რა გამოჩნდა? გამოჩნდა, რომ მექთა-ხორა უმცირესობა ითვისებს მთელი ინგლისის ხალხის შემოსავლის დიდ ნახევარს და ინგლისის მშრომელ ხალხს კი მათგანვე შექმნილი სიმდიდრის მცირე ნახევარსაც არ უტოვებენ! არ აფიქროთ, რომ გერმანიაში უკეთ არის საქმე! ჩვენი სამშობლო (გერმანია) არადრით არ განირჩევა ამ შემთხვევაში ინგლისისაგან, გარდა ამისა, რომ ჩვენი მთავრობა, სამწუხაროთ, არ ახდენს ამგვარ განკარგულებას.

პატივცემულო მკითხველო! ნუთუ შენ გაამართლებ ამგვარ წესებს? ეხლანდელ წესწყობილების გაპართლება შეუძლია მას, ვისაც ქვა აქვს გულის მაგიერ და რა გინდ წყევლა-კრულვით იხსენიებდენ სოციალდემოკრატიებს, ისინი ამ მუხლში მართალნი არიან! ეს წესი ვერ გაგრძელდება ასე და არც უნდა გაგრძელდეს დიდხანს! ეს უსამართლობა არის და ამიტომ უნდა მოისპოს! სოციალდემოკრატები არ იბრძვიან ისეთი შეძენის წინააღმდეგ, რომელიც დახარჯული შრომის შედეგია; წინააღმდეგ ამისა, ისინი ამგვარ შეძენას თავის მფარველობის ქვეშ აყენებენ და ცდილობენ დაიცვან ის იმ ხალხისაგან, რომელიც არაფერს არ აკეთებს და სხვისი შრომის ნაყოფისაგან უღიდეს ნაწილს ითვისებს. სოციალდემოკრატები იბრძვიან ამგვარი შეძენის წინააღმდეგ და მიზნათ ისვამენ უზრუნველ ყონ მშრომელი ხალხისთვის მათი საკუთარი შრომის ნაყოფი. მაგრამ, შეიძლება, ამ შემთხვევაში ისინი ძალიან შორს მიდიან? რასაკვირველია, კარგი იქნება, რომ მშრომელი ხალხი დაიხსნას კაცმა გაქირავებისაგან და მისთანე მექთა-ხორებმაც სხვებთან ერთათ იშრომონ; ამგვარი მდგომარეობა ძალიან სასურველია, მაგრამ განა სოციალდემოკრატები საკუთრების მტრები არ არიან? ისინი ხომ წინააღმდეგნი არიან იმ საკუთრებისა, კი, რომელიც უღიდესი შრომით და მოთმენით შეუძენია ადამიანს? სოციალდემოკრატები ხომ კომუნისტები არიან? ეს კითხვა, ყოველ შემთხვევაში, სერიოზული კითხვა არის და ამიტომ საჭიროა მისი დამწვიდებით გარჩევა.

**ცოტა რაჲ საზრანგეთის მითვარამბე საუკუნის
ისტორიიდან.**

(თარგმანი)

შუალამზეზ ოც ივნისს 1791 წ. ტიუღერის სასახლის კარებში აღამიანი გამოჩნდა, რომელმაც ნაციონალურ გვარლის დარაჯებს ძლიერ ფრთხილათ გვერდი ჩაუარა. ეს კაცი გამოვიდა თუ არა ქიშკარში ერთ წამს შეჩერდა, აქეთ იქით მიმოიხედა, რომ დარწმუნებულიყო ხომ არავინ აღევნებს, თვალყურს სასახლის ახლო მდებარე ქუჩისკენ გადაუხვია და ღამის წყვილიაღში მიიმაღა. ამის შემდეგ სასახლიდან მეორე გამოვიდა, რომელსაც ცოტა ხნის შემდეგ შესამეც გამოუყვა... ამით ყველამ ერთათ თავი მოიყარეს კარუსელის მოედანზე, სადაც მათ გვარიანი დიდი ეტლი უცდიდა.

სამი კაცი „კოზნაზე“ მოთავსდა, დანარჩენი ექვსი-კი—სამი ქალი, ორი ბავშვი და ერთი, ხანში შესული, მსხვილმსხვილი მამაკაცი ეტლში ჩასხდნენ და სადღაც გასწიეს. აღრე პარიეი და მისი მიდამოები გაიარეს და გავიდნენ იმ დიდ გზატკეცილზე, რომელიც მიდის საფრანგეთის ჩრდილოეთით ბელგიის საზღვრისაკენ. როგორც ეტყობოდა მგზავრებს ძლიერ ეჩქარებოდათ, რადგანაც ისინი არსად არ ჩერდებოდნენ, ეტლიდან არ გადმოდიოდნენ და სწრაფათ საფოსტო სადგურებზე ცხენებს იცვლიდნენ. ასე ამ რიგათ ორი დღის განმავლობაში მიდიოდნენ, მაგრამ ერთმა შემთხვევამ მგზავრები ერთი საათით შეაჩერა: გზაში ეტლის თვალი გატყდა. როგორც იქნა ქ. შალონი გაიარეს და ბელგიის საზღვრამდის დიდი მანძილი არ დარჩენიათ. ოცდოარ ივნისს პატარა ქალაქ სენ-მენუში ცხენებს იცვლიდნენ. ეტლში მჯდომმა მამაკაცმა ეტლიდან თავი გამოყო, რომ ფოსტალიონი აეჩქარებია. სადგურის უფროსმა, რომელიც ამ დროს იქვე იდგა, მგზავრის ყურადღება მიაქცია და მისი სახე ნაცნობათ ეჩვენა. სადღაც ეს კაცი მას უნახავს! ეს ის სახეა, რომელიც ქალაქის ფულზეა, რაც საფრანგეთის მთავრობამ დიდი ხანი არაა გამოუშვია.

„ხო, ეს მეფეა!“, გაიფიქრა თან ბატისტ რუმე (სადღურის უფროსს ასე ეძახდნენ),—პარიეიდან მეფე სადღაც მიბრბის, დიდი ხანია მის გასაქცევათ ემზადებიან, ეს მთელმა საფრანგეთმა იცის.“

ეტლში მჯდომი ღამაზი ახალგაზდა მანდილოსნის ერთმა შეხედვამ დრუეს ყოველგვარი იქვი გაუფანტა: როცა პარიეში სამხედრო სამსახურში იყო მან მრავალჯერ ნახა დედოფალი და მისი სახეც კარგათ დაახსოვნდა. ამის შემდეგ ენერგიით სახეს ახალხაზდას, რომელიც რევოლიუციის საქმეს მთელი თავისი არსებით ემსახურებოდა, დიდ ხანს აღარ უფიქრია. იმ წამსვე ცხენზე შეჯდა და სოფლის შარა გზით გაჩქარებით გასწია ქ. ვარენში, სადაც მეფის ეტლს აუცილებლათ უნდა გაველო. ვარენში დრუე მეფეზე უფრო აღრე მივიდა. მერმა *) დაუყოვნებლივ ნაციონალური გვარდია შეკრიბა და ბრძანებაც გასცა, რომ ყოველგვარი ღონისძიება ემზარათ გაქცეულების დასაქერათ. ქალაქ ვარენში მეფის ეტლი შევიდა თუ არა დრუემ იმ წამსვე ცხენებს აღვირში ხელი სტაცა და მერის სახელით ეტლში მჯდომ მგზავრებს ბაშფორთი მოსთხოვა. ერთ მანდილოსანთაგანს რუსის ბარონისს კორფის ბაშფორთი ქონდა; დანარჩენები, კი, როგორც თავისი ფარეში, ორი თავისი კამპანიონი და მოსამსახურე ისე წარუდგინა; დრუე ამით ვერ მოატყუეს და მან ისინი წაიყვანა შერთან. მერმა მეფეს უთხრა, რომ ის უკვე კარგათ იცნეს და მისი

*) საფრანგეთის ქალაქის წარმომადგენელი, მუნიციპალურ საბჭოს თავმჯდომარე.

გზის გაგრძელება ყოველად შეუძლებელია. ლიუდოვიკ მე-თექვსმეტეს სურდა დაერწმუნებია, რომ ის საფრანგეთის მეფე არ არის, მაგრამ მალე მიხვდა, რომ ყოველივე ეს არას უშველიდა და პირველათ განიზრახა შეშინება, როცა ამით ვერაფერს გახდა თხოვნა დაუწყო მერს, რომ ის გაეთავისუფლებია. მაგრამ არც შეშმა და არც თხოვნამ არ იმოქმედა და დაქერილი ლიუდოვიკი მთელი ოჯახობით პარიეში დააბრუნეს, რომელსაც თან მთელი ნაციონალური გვარდია გააყოლეს.

პარიეი და მასთან ერთათ მთელი საფრანგეთი მეფის გაქცევამ ააღელვა. ეს ხომ პირველი და უკანასკნელი არ იყო! რომ მიხვდეთ და გავიგოთ პარაელების აღელვება-აბობოქრება მოლაღატე მეფის საქციელის წინააღმდეგ აუცილებლათ უნდა გვეჩახა პარიეი! ყველა საშინელებანი ამ ორი წლის განმავლობაში.

პირველათ მეფე უარს ამბობდა და არც უნდოდა დაემტკიცებია ყველა ის დადგენილება, რაც 4 აგვისტოს ნაციონალურმა კრებამ უკვე მიიღო. როცა მინისტრების და კრების ძალდატანებით მეფე იძულებული შეიქნა დაეთმო, მან ამ დროს პირველ შემთხვევითვე ისარგებლა, რომ ხელ ახლა წასულიყო წინააღმდეგ ნაციონალურ კრების დადგენილებისა და დიდხანს უარს ამბობდა კრების მიერ მოწონებულ კონსტიტუციის დამტკიცებაზე. შემდეგ მოლაპარაკება გამართა ლოტარინგის გუბერნატორ ბუიესთან (Bouille), რომელიც სასახლის ყურმოჭრილი მონა იყო და თან მრავალ რიცხოვანი ჯარიც თავის განკარგულების ქვეშ ყავდა, ფიქრობდნენ, მეფე ვერსაღს დატოვებს და მეცაში წავა, სადაც ჯარის მეთაურობას იკისრებს, რომელსაც ბუიე კამანდრობდა, წამოვი ამ ქაართ პარიეზე, ნაციონალურ კრებას დაითხოვს და სატახტო ქალაქის ყველა რევოლიუციონურ ელემენტებს გააქრობსო. ამ პლანს პარიეის ხალხის მეოხებით განხორციელება არ ეღირსა.

პარიეში 1789 წ. მიწურულში საშინელი შიმშილობა იყო. ხუთ ოქტომბერს პარიეის ქალებმა პური ვერსად ვერ იპოვნეს, ვინაიდან სატახტო ქალაქში ფქვილი ნაკლები იყო. ქალები ქუჩებში დაგროვდნენ და ფიქრობდნენ თუ ქმარ-შვილი რით გაეძღოთ. ერთმა ყველაზე უფრო გაბედულმა ქალიშვილმა ხელი სტაცა დოღს და დოღის კვრით წაივია ქუჩაზე, მას თან გაყვა ახალგაზდა თუ ბებერი ქალების ბრბო, რომლებიც მთელი ძალ-ღონით გაყვიროდნენ; „პური, პური!“ ისინი ყველა ერთათ მივიდა ქალაქის სამსჯავროს წინ. აქ მათ შეხვდათ ვიღაც მიაიარი, რომელმაც ბასტილიის აღების დროს თავი ისახელა, და მან ურჩია, რომ პირდაპირ ვერსალში წასულიყვენ, და იქ მეფის და ნაციონალურ კრებისაგან პური მოეთხოვათ, ეს რჩევა ყველას მოეწონა და ქალებთან ერთათ აუარებელი შეიარაღებული მამაკაცები ვერსალს წაივინენ. რამდენიმე საათის შემდეგ ამათ უკან გაყვა ნაციონალური გვარდია.

ვერსალში მისვლის თანავე ქალების დეპუტაციით მიაიარი კრებაში შევიდა და იქ მოითხოვა, პირველ ყოვლისა პური და შემდეგ ნებართვა კრების პრეზიდენტისაგან, რომ მეფესთან დეპუტატები მისულიყო. კრებამ ნება მისცა, მეფეში შებირდა დეპუტატებს ყველა იმის შესრულება, რასაც მისგან ითხოვდნენ.

დაღამდა. პარაელებმა ვერსალში ღამის გათევა გადაწყვიტეს. ექვს ოქტომბერს დიღის 5 საათზე ურიცხვი ხალხი მეფის სასახლის წინ მოგროვდა და ითხოვდა, რომ მეფე პარიეში გადმოსულიყო: ხალხის ყურამდე უკვე მივიდა ის ამბავი, რომ სასახლეს სურს რევოლიუციის წინააღმდეგობა და ამისათვის ბუიესთან მეფეს მოლაპარაკება ქონდა. მეფე პარიეში გადმოსვლის წინააღმდეგი იყო, მაგრამ ნაციონალური გვა

რდის უფროსის ლაფაიეტის გავლენით უფრო კი ხალხის შიშით, რომელიც ქუჩაში იდგა, მეფე ბოლოს დასთანხმდა: მეფე და მისი ოჯახობა ნაციონალური გვარდიის თან გაყოლით პარიჟისკენ გაემგზავრა და ტიულერის სასახლეში დასახლდა. უსამოვნებით და ნდობით ვესახლები ჩემ პარიჟის ხალხშირისა, სთქვა ლიულდოვიკმა პარიჟის შერის ბის სი-ტყვის პასუხათ.

დიდიდან მეფეს თვალყურს აღევნებდა პარიჟის ხალხი. 19 ოქტომბერს პარიჟში ნაციონალური კრებაც გადმოვიდა, ვინაიდან საუკეთესო მისი დამცველი, თუ სასახლე მოღალატეობას, ან და სახელმწიფოს გადაბრუნებას მოისურვებდა, პარიჟის ხალხი იყო.

ოთხ თებერვალს 1790 წ. მეფეს, რომ ის უკმაყოფილება დაუნდობლობა გაეფანტა, რასაც მას უტახდებდნენ ნაციონალურ კრებაზე თვითონ მოვიდა, სადაც მან განაცხადა, რომ მას სულითა და გულით სურდა ყველა იმის გაქცევა, რაც კრებამ გააკეთა. იგი შეზირდა, რომ მიიღებს ფიცს ქვეშ კონსტიტუციის, რომელსაც ნაციონალური კრება შეიმუშავებს. მეფის ასეთი სიტყვებით აღფრთოვანებულმა კრებამ შეფიცა მეფეს, რომ კანონის, მეფის და მთელი ნაციის წინააღმდეგ არ იქნება და თანვე მთელი ძალ-ღონით დაიცავს იგი კონსტიტუციის, რომელსაც შეიმუშავებენ და მეფე მიიღებს.

ასეთი ცერემონია კიდევ მეფემ 14 ივნისს 1780 წ. გადაიხადა. ამ დღეს პარიჟის ხალხმა გადაწყვიტა ბასტილის აღების პირველი წლის თავი ელდესასწაულა. მარსის მინდორზე 400 ათასი კაცი პარიჟელი და პროვინციელი მოგროვდა. აქ ლაფაიეტმა ყველაზე პირველათ მიიღო ფიცი ახალი კონსტიტუციისა. ჩვენ ვფიცავთ—მიმართა აღელვებულ ხალხს და სთქვა მან—ყოველთვის ხალხის კანონი და მეფის მომხრე ვიყუთ, მთელი ძალ-ღონით დავიცავთ ნაციონალური კრების შემუშავებული და მეფის მიღებულ კონსტიტუცია და მუდამ დავიცავთ და დავიფარავთ იმ ძაფს ძმო ბისას, რაც ჩვენ ყველა ფრანგებთან გვაერთებს.

ჩვენ ვფიცავთ! აღფრთოვანებით გაიმგორა ასი ათასმა კაცმა. შემდეგ მეფე წინ წარმოხდგა და შეფიცა ამტკიცეთ შეურყევლად დაიცოს უკვე მიღებული კონსტიტუცია და აგრეთვე ისიც, რომელსაც აწ მიიღებენ. დედოფალმა თავისი მკირეწლოვანი ვაჟი ხელში აიყვანა და წარმოთქვა: „აი ჩემი ვაჟი; ის და მე თანაუგრძნობთ ხალხის მისწრაფებას.“

მაგრამ ყველა ეს თვალმაქცობა კონსტიტუციის და ხალხის თვალის ასახვევით იყო, რის ნიღბ ქვეშ სასახლის ხრიკები და ოინაზობა იფარებოდა; ამ თვალმაქცობის მიზანი იყო რევოლუციის წინააღმდეგობა, რაც უკვე დაწყებული იყო და საფრანგეთის მშვიდობიანობის დარღვევას ემუქრებოდა. ამ დაუღუმებელ ელემენტებ შორის განსაკუთრებულ როლს თამაშობდა, ერთი მხრით, სასულიერო წოდება, და მეორე მხრით ემიგრაცია. ნაციონალურმა კრებამ მიიღო კანონი, რის ძალით სასულიერო წოდება ვალდებული იყო კონსტიტუცია დაცვა. ბევრმა მათგანმა ფიცზე უარი სთქვა და გაუთლელ გაუნათლებელ გლეხების აღლევება იწყო, რომლებსაც არწმუნებდნენ, რომ რევოლუცია გლეხებს სარწმუნოებას წარამეცსო. სასულიერო წოდების ქადაგებამ აქა იქ გასჭრა, რის შედეგი მრავალი აჯანყება იყო და სამხრეთ საფრანგეთის ოლქების განადგურებაც მოყვა. რაც შეეხება ემიგრანტებს, რომლების უფრო მეტი ნაწილი ძველი თავადაზნაურების გვარეულობა იყო, რომლებიც მუდამ სამშობლოს ტოვებდნენ. ისინი მოგროვდნენ კობლენცში და იქიდან ცდილობდნენ ევროპის სხვა სახელმწიფოების ჩარევას საფრანგეთის შინაურ საქმეში. ოც მაისს 1791 წ. ავსტრიის მთავრობა შე-

პირდა ომის გამოცხადებას და ცეცხლით და მახვილით ძველი წესწყობილების აღდგენას. ამასთანავე ემიგრანტები თავისი მომხრეების შემწეობით სასახლეში და ჯარში გაფაციკებით მოქმედებდნენ.

ამ ამ რევოლუციის უკმაყოფილო ელემენტების დიდი იმედი ქონდა ლიულდოვიკს, როცა პარიჟიდან გაქცევას ფიქრობდა. პირველათ მან გაქცევა სინჯა 18 აპრილს 1791 წ.: იმ მოსახრებით, რომ აღდგომის გატარება სენ-კლუში მოისურვა და დიდი იმედი ქონდა, რომ ბუიესთან გადავიდოდა. პარიჟელებმა ის გზაში დაიჭირეს და იძულებული შეიქნა ტიულერიში დაბრუნებულიყო.

ამის შემდეგ სასახლემ ახალი კომედიის თამაში დაიწყო. მან თავი მოიკატუნა და ხალხს დანახვა, რომ ვითომც რევოლუციით შექმნილ მდგომარეობას შეურიგდა. იმ წაშვე ყველა ის პირები, რომლებსაც ხალხი არ ემადრიებოდა დაიხივავა, აგრეთვე ის ხელებიც, რომლებსაც კონსტიტუციის არ შეფიცეს.

გარეშე საქმეთა მინისტრმა სხვა სახელმწიფოებში მყოფ საფრანგეთის ელჩების საყურადღებოთ ცირკულიარი გამოსცა, ცირკულიარში იყონათქვა: „ის, რასაც რევოლუციის უწოდებენ, არის გაუქმება მრავალი ბიროტებისა, რაც საუკუნოების განმავლობაში უკვე მოგროვილა, ხალხის გაუნათლებლობის და მინისტრების ყოვლად შემძლებლობის გამო, რაც რასაკვირველია, მეფის ძლიერებას არ შეეფერება. ყველაზე უფრო საშიში შინაური მტერი ისაა, ვინც ფიქრობს, რომ ვითომც მეფე გულახდილი არაა. ეს ხალხი ან დაჰნაშავა, ან და ბრმა. ამათ თავის თავი მეფის მეგობრათ მოაქვთ და მართლა კი—ისინი მეფის უფლების ერთათ ერთი მტრები არიან. ისინი მუდამ ჯამს იმეორებენ, რომ მეფე უბედურია, მეფე უკმაყოფილოა, ვითომც მეფისათვის არის რაიმე უფრო სასამოვნო, ვიდრე ხალხის კეთილ-დღეობა! ისინი ამბობენ, რომ ვითომც მისი ღირსება დამცირებულია, ვითომც კანონზე დამყარებული ღირსება, უმაღლესი არაა ძალდატანებით დამყარებულ ღირსებაზე! ისინი ამბობენ, რომ მეფე თავისუფალი არააო. საზიზღარ ცილის წამებას ავრცელებენ, როცა ამტკიცებენ, რომ მის უფლებას ვილაკებთ ძალათ ატანერა. აშკარათ ცილის წამებენ ისინი, ვინც ხედვენ თავისუფლების უქონლობას იმაში, რომ მისი უდიდებულესობა რამდენჯერმე დასთანხმდა პარიჟის მოქალაქეთა შორის ცხოვრებას, დასთანხმდა სამშობლოს სიყვარულის მეოხებით, შეიძლება, ხალხის შიშის გამო, მაგრამ ყოველ შემთხვევაში უკანასკნელის სიყვარულის გამო. ამისათვის გააფრცელეთ საფრანგეთის კონსტიტუციის შესახებ ის შეხედულება, რაც თვითონ მეფეს აქვს და ნურავის ერთ წუთსაც ნუ შეეპარება იქვი, რომ მისი უდიდებულესობა ყოველი ღონის ძიებით ცდილობს ამ კონსტიტუციის დაცვას.“

ამავე დროს ერთ ემიგრანტ პრინც კონდესთან მიწერილი წერილი გამოაქვეყნეს. „სამშობლოში დაბრუნდი, ძვირფასო ბიძა—წერდა მეფე—და დასტკი იმ ბედნიერებით, რასაც ის გაწოდებს. დაბრუნდი და მტრების ნაცვლათ ძმებს შეხვდები. ერის სახელით და ჩემივე სახელითაც გიმბძანებ დაბრუნებას. მე გემუდარებთ ამის შესახებ იმ კავშირის გულდასთვის, რაც ჩვენ გვაერთებს და იმ სისხლისთვის, რომელიც ჩვენ ძარღვებში არის. დამორჩილდი, ან გეშინოდეს შენი მოუფიქრებელი ნაბიჯის შედეგებისა!“

ხალხის უნდობლობა ამ წერილებით გააქარწყლეს. ყველა დარწმუნდა მეფის გულახდილობას და კონსტიტუციისათვის მეფის თავდადებას. კონდესთან მიწერილი წერილის დაწერილის ოთხი დღის შემდეგ მეფე მთელი ოჯახობით პარიჟი-

დან გაიქცა და თავის კაბინეტში დატოვა მანიფესტი, რითაც მან თავის თავი მოწინააღმდეგეთ განაცხადა ყოველგვარი რევოლუციის, რაც ცნობრებაში გატარდა 1789 წ. დაწყებული. სსტიკათ გაიქცა ნაციონალური კრება, ახალი კონსტიტუცია და პარიზის ხალხი, და ბრალს დებდა მასში, რომ მან მოსპო მისი მემკვიდრეობითი უფლება, წაართვა მას მისი ქონება და ძალი დაატანა, რომ მას ისეთი დადგენილება დაემტკიცებია, რომელიც მას სძავდა.

წ. ჩიჩუა.

(შემდეგ იქნება).

ბურჟუა და პროლეტარი *

რას ნიშნავს ეს ბრალდება? ყველა იმ საზოგადოებათა ისტორია, რომელნიც ღღემდენ არსებობდნენ, დამყარებული იყო კლასთა წინააღმდეგობაზე, რასაც სხვა და სხვანაირი სახე ეძღვდა სხვა და სხვა ხანაში.

თუმცა საზოგადოების ერთის ნაწილისაგან მეორის გაყვლა სხვა და სხვა სახით ხდებოდა, მაგრამ ეს გაყვლა ყველა საერთო კუთვნილება ყველა განვილი საუკუნოებისა. ამიტომ რა ვასაკვირველია, რომ ყველა საუკუნის საზოგადოებრივი შეგნება, მიუხედავად არსებულ განსხვავებისა და სხვა და სხვაობისა, ღღემდენ განსაზღვრულ საზოგადო ფორმაში ტრიალებდა. მოისპობა კლასთა წინააღმდეგობა და მასთან ერთად გაქრება აშვარი ფორმაც.

კომუნისტური რევოლუცია ყველაზედ ურადიკალესი უარყოფა არსებულ ქონებრივ ურთი-ერთობათა, რაღა ვასაკვირველია, რომ ის ძირიანად არღვევს ტრადიციულ აზროვნებას...

მაგრამ მივანებოთ თავი ბურჟუაზია თან კამათს. როგორც ზემოთა ვთქვით, მუშების რევოლუციის პირველი ნაყოფი პროლეტარიატის მიერ გაბატონებულ კლასთა უფლებების მოხვეჭაა; მის მიერ დემოკრატის დაპყრობა.

როცა ეს მოხდება, პროლეტარიატი ისარგებლებს თავისი პოლიტიკური ბატონობით, და მანამდე არ მოუხსენებს ბურჟუაზიას თავდასხმით, სანამ ხელთ არ იგდებს მთელს მისს კაპიტალს, სანამ სახელმწიფოს, ე. ი. გამეფებულ პროლეტარიატის ხელში არ მოაგროვებს შრომის ყველა იარაღს და არ გააძლიერებს საწარმოო ძალას.

ექვს გარეშეა, რომ ყველაფერი ეს თავდაპირველად გაა მოიწვევს საკუთარების უფლებასა და წარმოების ბურჟუაზიულ პირობებში დესპოტიურ შექრის, მაშასადამე, საჭირო იქნება ისეთი ზომები, რაც ეკონომიურის მხრივ არ იქნება საკმარისი, რასაც იმდენი მნიშვნელობა არ მიეცემა, მაგრამ ეს ზომები, მოძრაობის მსვლელობასთან ერთად, გაიზრდება და ძალას მოიკემს, ისინი აუცილებელი საშუალებაა მთელის წარმოების წესის შესაცვლელათ.

რასაკვირველია ეს ზომები სხვა და სხვა ქვეყანაში სხვა და სხვა ნაირი იქნება.

ყველაზე უფრო განათლებულ ქვეყნებში თითქმის ყველაგან შეიძლება მაღლებულ იქნას შემდეგი ზომები:

- 1) ადგილ-მამულების ექსპროპრიაცია და საადგილ-მამულო რენტის გადიდება სახელმწიფოს ხარჯის დასაფარავათ;
- 2) შემოსავლის კვალობაზე მაღალი პროგრესიული გადასახადი;
- 3) მემკვიდრეობის გაუქმება;
- 4) ყველა ემიგრანტთა და მემკვიდრეობის ქონების კონფისკაცია;
- 5) კრედიტის სახელმწიფოს ხელში მოგროვება; სახელ-

მწიფო კაპიტალისაგან შემდგარ საერო ბანკისა და სრული მონპოლისის საშუალებით;

- 6) გადასატან-გადმოსატან საშვალეობათა სახელმწიფოს ხელში მოგროვება;
- 7) სახელმწიფო ფაბრიკებისა და წარმოების იარაღების გამრავლება; მინდვრების დამუშავება და გაუმჯობესება საერთო პლანით;
- 8) ყველასათვის ერთნაირად სავალდებულო შრომა; შრომის არმიის დაარსება, განსაკუთრებით მიწის დამუშავებაში;
- 9) სამიწადმოქმედო შრომის შეერთება საფაბრიკოსთან; თანდათანობითი აღმოფხვრა განსხვავებისა სოფელსა და ქალაქს შორის;
- 10) საზოგადო, უფასო აღზრდა ყველა ბავშვებისა; ბავშვების შრომის არსებულ სახის მოსპობა; აღზრდის შეერთება ნივთიერ წარემობასთან და სხ.

როცა, დროთა განმავლობაში, მოისპობა კლასთა სხვადასხვაობა და მთელი წარმოება ასოციაციების ხელში მოიყრის თავს, საზოგადო უფლება დაჰკარგავს თავის პოლიტიკურ ხასიათს. პოლიტიკური ძალა, ამ სიტყვის საკუთარის მნიშვნელობით, ნიშნავს ერთის კლასის შეერთებულ ძალას, რომელსაც მეორე კლასის დამორჩილება აქვს მიზნათ. თუ პროლეტარიატი, ბურჟუაზიასთან ბრძოლის დროს, ერთ კლასიურ სხეულს იბამს, რევოლუციის საშუალებით იძენს ბატონობის უფლებას, და, როგორც გაბატონებული კლასი, ძალით სპობს წარმოების ძველ პირობებს, აშკარაა, ამით ის სპობს აგრეთვე კლასთა შორის არსებულ წინააღმდეგობის პირობებს, სპობს საზოგადოთ კლასებს და ამასთან თავის საკუთარ კლასიურ ბატონობასაც. ძველ ბურჟუაზიულ საზოგადოებისა, მისის კლასებისა და მათ შორის არსებულ განხეთქილების ადგილს დიქტრის ასოციაცია, რომელიც ასეთ სიტყვებს დააწერს თავს დროშაზე: „თვითყუდ ჯანმისის თავისუფალი განვითარება საფუძვლიან მთელს კაცობრიობას თავისუფალი განვითარებისა.“

ინგლისის და საფრანგეთის არისტოკრატის ისტორიული მოწოდება გამოიხატა პამფლეტების წერაში თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოების წინააღმდეგ. იგლისის რევოლუციით საფრანგეთში (1830 წ.) და პარლამენტის საარჩევნო უფლების გასაფართოვებელი მოძრაობით ინგლისში ის კიდევ ერთხელ დაამარცხა ამ მისგან შემუღებულმა მატრაკვეცამ. ამის შემდეგ სერიოზული პოლიტიკური ბრძოლა აღარ შეიძლება. დარჩა მხოლოდ ლიტერატურული ბრძოლა, მარა ლიტერატურაშიაც რესტრუქციის ენით ლაპარაკი შეუძლებელი გახდა. თანაგრძნობის მოსაპოვებლათ არისტოკრატისა უნდა მოეჩვენებია ვითომ ის თავის საკუთარი ინტერესებისათვის არ ზოუნავს არა, ის ადგენს საბრალდებლო ოქმს ბურჟუაზიის წინააღმდეგ მხოლოდ გაყველილი მუშა-ხალხის დასაცავათ. და ასე, იგი სიამოვნებით შეუღდა თავის ახალ ბატონზე პასკვლების თხზვას და ცოტათ თუ ბევრათ საშიშარი წინასწარმეტყველების მისთვის წაჩურჩულებას.

ასე წარმოიშვა ფეოდალური სოციალიზმი. ის შეიცავს ცოტადღენ ჩივილს, ცოტა პასკვილს, ცოტა წასულის მოგონებას, ცოტას მომავლის მუქარას, და ხან და ხან კიდევაც მარჯვეთ სცემს ბურჟუაზიას თავისი მახვილით და მწვავმ მსჯელობით. მაგრამ ყოველივე ეს ყოველთვის კომიკურ შთაბეჭდილებას ახდენს თავისი უნიკობით, რომელიც უშლის შეიგნოს ახალი ისტორიის მსვლელობა.

არისტოკრატია პროლეტართა ცალიერი ჯიბე დროშათ ააფრიალა თავის გარშემო ხალხის შემოსაკრებათ, მაგრამ, როგორც კი ხალხი მას გაცემა, მაშინვე მის ზურგზე ძვილი ფეოდალური ღერბები შეამჩნია და მოუკიდებელი ხარხართ მოკურცლდა.

ფრანგთა ლეგიტიმისტების ერთმა ნაწილმა და „ახალ-გაზდა ინგლისმა“ ეს კომედიის საუკეთესოთა ითამაშეს.

როცა ფეოდალები ამტკიცებენ, რომ გაყვლეფის მათი წესები სხვანაირი იყო, ვინემ თანაქდროვე ბურჟუაზიული გაყვლეფა, ცხადია, ივიწყებენ იმას, რომ ისინი ყვლეფდენ სრულიად სხვა, ახლა არ-არსებულ, პირობებისა და გარემო-ბაში. როცა ისინი ამტკიცებენ, რომ მათი ბატონობის დროს თანამედროვე პროლეტარიატი არც კი არსებობდა, ივიწყებ-ბენ, რომ მათი საზოგადო წყობილების აუცილებელი ნაყოფი სწორეთ თანამედროვე ბურჟუაზია იყო.

ისინი ბურჟუაზიის აბრალებენ უფრო იმას, რომ მან შექმნა რევოლუციური პროლეტარიატი, ვინემ იმას, რომ მან შექმნა საზოგადოთ პროლეტარიატი.

ამიტომ ისინი თავისი პოლიტიკური პრაქტიკით მონაწი-ლეობას იღებენ ყოველნაირ ძალმომრეობაში, რომელიც კი მუშა ხალხის წინააღმდეგ არის მიმართული. ყოველ-დღი-ურ ცხოვრებაში ისინი, წინააღმდეგ თავისი ლაშხი სიტყვე-ბისა, არ უშვებენ ჯიბის გატენის შემთხვევის და საბრგელით ცვლიან თავის „ერთგულებას“ „სიყვარულს“, „აბიოცინებას, და სხვ. მატყლზე, ქარხალზე და არაყზე.

როგორც ხუცესი მულამ მხარში ედგა ფეოდალს, ისე ხუცური სოციალიზმი არ შორდება ფეოდალურს.

არა არის რა იმაზე უცვლილესი, რომ ქრისტიანულ განდევნილობას თავს მოახეიო სოციალური ელფერი. განა ქრისტიანობა არ ჯანყდებოდა ყრძო საკუთრების და სახელ-მწიფოს წინააღმდეგ? განა ის არ ქადაგებდა ქველმოქმედებას და სიღარიბეს. უბიწობასა და ხორცის მოუძღორებასა, ბერათ აკკეთის და სხვ. ? ქრისტიანული სოციალიზმი ის წმინდა წყლი, რომლითაც ხუცესი არსტოკრიათა გაქორეებას აპ-კურებს.

(შემდეგი იქნება).

მათხელ კიდვ ბ. თ. სახოკიასა და ჩ.-ის ზესახე.

სამედიატორო სამართალი ჩემსა და ბ. თ. სახოკიას შორის, დანიშნული წ აშთვისათვის დაიშალა. შეათხველი საზოგადოებისათვის მტრათ საინტერესოა მიხეჯუბი მისი ჩაფუშისა. ჯერ ეადევ თავი-დან აზღალებს ზუნქტების გამორგვევამ ბუერი დრო წადო, დიდი უთანხმოება გამოიწვია ჩემსა და ბ. სახოკიას შორის. ის ამბობდა: ერთდღე მე 2წ მაისს, ბათუში მომზად კრებაზე მისთვის დამე-ბრალეობის, რომ უთანხმოება გურულ-მეტრულ მუშათა შორის „სახოკიამ დაბადა და გამოიწვიაო“. მე კი ნამდვილათ მას ვაბრა-ლებდი, მან ფოთში ბიურკრატის და „ზოდრაიაკების“ მიერ გამოწვეულ უთანხმოებას ხელი შეუწყო, გაძლიერა შეგნებულათ თუ შეუგნებლათ, თავისი ჩარევით შეთქა“. ბოლოს, როგორც იქნა, დაისვა საქმის გამოსარკვევათ ოთხი კითხვა: 1) ვთქვა თუ არა მე ბათუში ის, რასაც ბ. სახოკია მაწერს; 2) თქვა თუ არა ბ. სახოკიამ, ფოთი უფლებით მეტრელებს ეკუთვნისო; 3) თქვა თუ არა მანეე რომ არსებობს მეტრელთა და გურულთა სა-კითხი და ინტერესებო და 4) უთხრა თუ არა მან (სა-ხოკიამ) უსაქმით დაჩენილ მუშებს, ძალიან მოკითხნათ ამდენ სანს ასეთი მდგომარეობაო. საინტერესოა გავიცნათ, თუ რა სერხი იხმარა ბ. სახოკიამ ჩემს დასამარცხებლათ იმ თავითვე. შეითხველს ეტადინება უყოთ, რომ სტუდენტმა კანატონ მუხარ-გაიამ და ოდნა ათმა მუშის რწმუნებულმა *) (სამასი მუშის სახე-

ლით) სამედიატორო სამართალში გამოიწვეეს; მეგანს, რომ უვე-ლთ ამ საქმეს მედიატორნი ერთათ გარჩევედენ, მაგრამ ფოთში ჩაყვდი თუ არა, არც სტუდენტი მუხარგია გამოჩენილას, როგორც ჩემი მოწინააღმდეგე და არც ის 30 რწმუნებულა. სამაგიეროთ როგორც სტუდენტი მუხარგია, ისე ზოგაი რწმუნებულთაგანა გზ-მობრძანდენ სახოკიას მოწმეებათ. სამი მხარე ერთი და იმავე მიხე-ნით დაინტერესებულნი, სამედიატორო სამართალში მიწვედენ, მაგრამ საქმის გარჩევის დღეს მხოლოთ ერთი მათგანა და დამრჩა ხელში, და რომ ის არ დამრჩესებულაეო, ორმა დასარჩენმა მხარემ (სტუდენტი მუხარგია და რწმუნებულა) მოაწმეებათ დადგობა მოაწადინეს. ბ. სახოკია დატინებით თხოულობდა ამათ მოწმობას, მაგრამ მედიატორებმა ჩემი სამართლანი მოხთოვნით, ისი-ნი გადაუყენეს. მოკვეცა ორდევ მსარეს უფლება მხოლოთ ათ-ათი მოწმისა. ჰარგველა კითხვის შესახებ სახოკიას ორმა მოწამემ, დაამოწმა ჩემი სიტუებო. შემდეგ დაკითხენ სხვა მის მო-წამებს. საინტერესოა მათი ჩვენებაც. მრავალი წინააღმდეგობა და არე-დარევა გამოდიოდა მათ ჩვენებაში. ერთმა მათგანმა თქვა: „ფოთლელი მუშა თუ ფოთში ვერ იმოყოს სამუშაოს სად უნ-და წაიდაესო“; მეორემ თქვა: „თუ აქ სამშობლოში ვერ იმოყვან სემუშაოს სად უნდა წაიდაინო“; მესამემ—„რატომ ერთი მეტრელი მუშა არ უნდა მუშაობდეს ამდენ სამუშაოზეო“. მეოთხემ—„მადლო-ბელი ვარ რომ ამდენი მოკითხნათ, არ შეტაკებისართ გურულებს და საქარფელო არ შეკინდნენათო“. დაიწყო ჩემი მოწმეების გ-მოკითხვა. ჰარგველმა მოწამემ ბ. ლუკა დავითაიამ საუცხოოთ და-ხსნათა ორი-სამი ვტრამბისტის როლი ამ უთანხმოებაში. სახო-კიას შესახებ საჯსებით დაამტკიცა ჩემი ნათქვამი, გარდა მეოთხე ზუნქტისა, რომლის მოწამე ის არც უფიდას. მეტის-მეტათ გაანრა-ზა დავითაიას ჩვენებამ მოწინააღმდეგენი, მაგრამ თავი მაინც შეი-მაგრეს. ჭამოვიდა მეორე მოწამე ბ. ალექსანდაე ფანულაია, რომელმაც თქვა: „სახოკიამ მიმართა კრებას, სადაც მარტო უადილო მუშეები ივედნ და უთხრა: „რედან ჩამოფრენილი მტრელები უო-ფელხართ, რომ არ შეტაკებისართ გურულებს, სისხლი არ დაკიდე-რით და ამდენი მოკითხნათო“. შემდეგ გაგრძელა მოწამემ და-ხარგია, მაგრამ არ გასულა ერთი წუთი, რომ მის მეტის-მეტო მდუ-ლვარება დაეტყო და დამშვიდებით ვეღარ დახარგობდა. მიხეჯი რა იყო ამისი ვერ გაგვეტო, მარა მივახედე გადებული ფანჯრი-სკვენ თუ არა, აღერილ მუშტებს მოკვარა თვალი, რომლითაც მო-წამეს ემუქრებოდენ. ამავ ჰროტესტო განვაცხადე თავმჯდომარ-ის წინაშე და უთხრა: ამ ბირობებში მოწამეს არ შეუძლია თქვას სიმართლე, ეს უსინდისობაა, ეს „ხელდასახარა“-მოქია. ერთი წუთით მააუყუხა თავმჯდომარემ ისინი, და ის იყო მოწამეს უნდა განეტროს, რომ ისევე იმავე ფანჯრიდან მიშველმა რეკლავურმა გამოანათა და ხანჯალმაც იუღვა. თავმჯდომარე და მედიატორნი შეეცადენ იმთ განერებას, მაგრამ მოისმა დრიალა: „გაგვიშეთ, გაგვიშეთ მაგ... სეტნ (ფანჯრიდან). მაგან დაგვღუპათ... ამის გამო შექნა უერილი და წივილეკიეილი, სალხი დაფროხა. ერთ წუთში დაჩაზაზი თითქმის დაცალოდდა. მოწამე ფანულაია, როგორც იქნა გააპარეს, მაგრამ მოწამე ბ. დავითაია კი თავ-პირ დამტურე-ული, სისხლით შედებლი, ძლივს გამოართვა ხელიდან „ხელდა-ხნებს“ **) თვით ბ. სახოკიამ. ამით გათავდა სამედიატორო სამართალი. ვინ ივენენ ეს ხელდაგანები, რა უნდოდათ მათ? რათ იტყვიან ასეთი სამარცხენო საშვალებით. ბ. სახოკიას? აი კითხვა ამისა და ამ კითხვის გადაწყვეტა მიავინდვია თვით საზოგადოებისათვის.

*) ხალხი და ნამდვილი ქეშმარიტი მუშეები მეტრელი იყო ის, გურული, თუ იმერელი ყველანი შეწუხდენ ამ უმსგავსო საქციელით, ყველა ცდილობდა ხულიანების განხრებას და უზედურების თვიდან ამოღებას. ეს „ხულიანების“ ექვსი-შვიდი თუ იქნებოდა მეტო არა და ისინი უმსგავსევი როლს თამაშობდენ ქალაქის „სტრანეიკები“ რო-მელთაგან ერთი ვგონებ მოწმეე იყო ბ. სახოკიასი.

*) სხვათა შორის საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ ამ მოწამეში სამმა თქვა სასამართლოს წინაშე, რომ ჩვენ არც გამოგვიწვევია ჩხი-კეიშვილი სამართალში და არც ვისმესთვის დავგიუალბინიაო; მეოთხემ თქვა: 40—50 კაცი ვიყავით კრებაზე და ჩვენ დავიჯალეთო.

ესა მეფემანთავ ბ. „სიტყვას“ და შევეკითხებო: ვინაა ეოვლათ საზიხლარი რილის მწამეული, მე თუ ის? ბნია „სიტყვას“ მე თუ არ დამიჯერებ რაზია საქმე, დავეიხსე ბ-ნ სამოსთ ფარცხლავას რომელიც ერთი მედაცროთავანა იყო ბ. თ. სახაკავასი. ბ. ფარცხლავამ არ უნდა უდალაროს უბრალო სხვაობის კანონის და გეტყვის თქვენ მართლს, რადგან ის თვითონ მოწამე იყო, იმისა რასაც მეითხველს შოვეთხრობ, მოწამე იყო იმ საზიხლარობისა, რომელიც „სულიკანებშია“ ჩაიდინეს თედოს ჰატევისკეთათ.

დასასრულ ვთხოვ თავმჯდომარეს და ჩემს მედაცრობებს გმოსთქვან თავიანთა აზრთა „მოგზაურის“ მომავალ წიშს და გმთაქვეყნონ ჩემი მოწამეების ჩემება.

სენა ჩხიკვიშვილი.

წერილი გმირ დედაქციის მიმართ.

უმორჩილესთ ვთხოვთ შემძლებინით გამოვაცხალო შემდეგი. ვახ. „ცნობის ფურცლის“ თებერვლის ერთ-ერთ ნომერში დაბეჭდილი იყო ქალაქ მუქედინიდან დეპუტა ბ-ნი ვლად. თავართქილაძისა, რომელიც უგზავნიდა ათას მანათს ავთთყუფს მეოხანს ბ-ნს აკაი წერეთელს. შემომწირველთა შორის ნახევრები იყო ბ. ვარდენ ჩხაიძე, დავებრუნდი რა ამ ათი დღის წინათ შორეულ აღმოსავლეთიდან, გავიგე რომ ამ დეპუტის არა სასურველი მითქმა-მოთქმა გამოუწვევია ჩემის ძმის ვარდენ მაქსიმეძის ჩხაიძის აზრების მოწინააღმდეგეთა შორის. ზოგი ამხანაგებიც შეცდომასი შეუფას ამ დეპუტის რგორც კანონიერი მემკვიდრე მწარე უღელ-ქვეშე გატარებული ძმის სახელის და პატიონებისა მოვალეთ გრაცს ჩემს თავს გამოვაცხალო შემდეგი: ჩემს ძმას ამ შემოწირულებასთან და დეპუტისთან არავითარი კავშირი არ ქონებია და დეპუტის არსებობა იცნო შევსლა სცოდნოდა მისგან დამოუკიდებელ ცნობილ „გარემოებათა“ გამო. შემომწირველი გახლავთ სოფ. აცანის მეცხოვრები ბ. ვარდენ ლევანის ძე ჩხაიძე, რომელსაც მე პირადათ ვიცნობ და არა ჩემი ძმა.

კვირისი მაქსიმეძე ჩხაიძე.

სადგ. სუფსა.

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესთ ვთხოვთ თქვენს პატივებულ გაზეთში შემდეგ წერილს ადგილი მისცეთ.

წარსულ ივლისში მე ამომარჩიეს სამედიკატორო სასამართლოს თავმჯდომარეთ. ჩემს გარდა, მენდობრებათ აირჩიეს ოთხი კაცი. სასამართლოს უნდა გაერჩია ქ. ფოთში ბბ. სახოკიას და ჩხიკვიშვილის საქმე, გურულ და მეგრულ მუშაობა უთანხმოებით გამოწვეული, საქმის გარჩევა დიწყო ნ. აგვისტოს. გარჩევის დიდ-ძალი ხალხი დაესწრო. როგორც შემდეგში აღმოჩნდა, თითქმის მთელი დამსწრე საზოგადოება ორ პარტიათ იყო დაყოფილი: ერთი ბ. სახოკიას უჭერდა მხარს და მეორე — ბ. ჩხიკვიშვილს. თანდათან ამ ორ პარტიათა ურთიერთობა გამწვავდა, და, როდესაც სასამართლო ბ. ჩხიკვიშვილის მოწმის შეკითხვას შეუდგა, გარედან გაისმა ყვირილი და მუქარა ამ მოწმის მიმართ. შემდეგ ხალხი ფანჯარებიდან ოთახში შემოფარდა და ყველაფერი აირ-ღაირა. ამ არეულობის დროს ბ-ნ ჩხიკვიშვილის მეორე მოწმეს შეურაცხყოფა მიაცემეს მოქმედებით. სასამართლომ ვერ შესწავლიდა და შემდეგ დასურა სხდომა.

ამ რიგეთ სამედიკატორო სასამართლომ, მისგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო, ვერ დაამთავრა ის საქმე, რომელიც მის მინდობილი ქონდა.

შემომხსენებულ გარემოების გამო, მე შეუძლებლათ ვსთვლი ჩემდავთავთ მონაწილეობა მივიღო სამედიკატორო სასამართლოში და ამიტომ, ვინობრა ბოლომდე ბ. სახოკიას და ჩხიკვიშვილის წინაშე, უარს ვაცხადებ თავმჯდომარეობაზე.

უმორჩილესთ ვთხოვთ „ცნობის ფურცლისა“ და „მოგზაურის“ რედაქციებს ეს ჩემი წერილი გადაბეჭდონ.

ნაფიცი ვეჭელი ვასილ ალექსანდრეს ძე დემიძე.

10 აგვისტო 1905 წ.

1) ჩვენ თფილისის მოვარეუბა ბოიკატს ვუცხადებთ ძმათა შადინოების წარსკვეტს (მოლონ.).
შადინოებმა ეოვლათ უმიხეზობთ, გაფიცავთ და დათხოვეს წამო ნოქართავანა და მათ არც ხედავთ იუელი მისცეს.
მოუწოდებთ ეველა ჰატეოსან მოქალაქეებს რაზა შეწევითან შადინოებთან ეოველეკური კავშირი და ვაჭრობა ბოიკატის ასსნადის.

ბოიკატს ავსხნით იმ შემთხვევაში თუ უკან მიადებენ დათხოვნილ ნოქარებს, და მათ ხედავთ იუელსაც მისცემენ.

ამასთანვე სამარცხენია ბოძსე ვარავთ ძმათა შადინოების ნოქარს ნივთ ხორგუაშეაღს, რომელიც ეოველეკარ საზიხლარ დონის-ძიებას სმარობს დათხოვნილი ნოქარების საწინააღმდეგეთ, და ხაზინის გულის მოსაკებათ.

2) ამასთანვე თფილისის ვაჭრები ბოიკატს ვუცხადებთ და სამარცხენია ბოძსე ვარავთ, „ფუნციკულარზე“ რესტორან „კანდეკაისი“ და სასტუმრო „ბურღინის ჰატრანს ეფრემ იგაყე დიპიტრი იესეს ძე ხუნდაეს, რომელიც ეოვლათ უშატეოსნოთ მოქცავთავის ამხანაგს ა. კალანდაეს. მოუწოდებთ ჰატეოსან მოქალაქეებს ბოიკატის ასსნადე შეწევითან მასთან ეოველეკური კავშირი. უმორჩილესთ ვთხოვთ, სხვა ქართულ და რუსულ ადგილობრივ ყურნალ-გაზეთებს გადამეჭდონ ეს ცნობა თავის გამოცემაში, ხელს აწერენ,

- 1. ვასილი მახარაძე, 2. ისმაილ მგალობლიშვილი, 3. მეთაობიშვილი ევკვიმი, 4. რევიშვილი ხაფთასი, 5. ილია კვინიძე, 6. ბესარიონ ვაშაიძე, 7. დავით მეგრელიშვილი, 8. პეტრე კუჭიძე, 9. ბაგრატ თარაზოვი, 10. ვლადიმერ ყიფიანი, 11. ვლადიმერ ბესარიონის ძე აბულშელიშვილი, 12. იოსებ მაქაყარი, 13. გრიგოლ სიდოელი, 14. კოსტა გორდელაძე, 15. პავლე გორდელაძე, 16. იოსებ სტეფანოვი, 17. გრიგოლ არ. დავიდავი, 18. ზ. თოძი, 19. ო. ცინციძე, 20. ბაბაჯანოვი, 21. თედორე გარდალიშვილი, 22. ვასილი ხუმარაძე, 23. შაქრო მუქანიშვილი, 24. უთარბე ნიკოლაი, 25. ნესესაშვილი, 16. ელისბარ სულაოვი, 27. გიორგი სუბოთოვი, 28. ვიკტორ ხუნდაძე, 29. სანდრო მოხევიშვილი, 30. **შჩასკი სარაქხანე**, 31. ალექსი კალაბეგოვი, 32. **ჟიკა ნიკიჩხიანი**, 33. პავლე მისურაძე, 34. ნიკოლოზ სულხანოშვილი, 35. სიმონ აბლაძე, 36. დიანოს გვენცელაძე, 37. გიორგი იმედაძე, 38. ე. სარაძე, 39. **Давидь Гамбировъ**, 40. კ. გოქაძე, 41. ი. გოციოძე, 42. კოჩივი, 43. ი. კარხელაძე, 44. პლატონ სიტყვიანიძე, 45. კოლა ცურბიშვილი, 46. ვასილი კინწურაშვილი, 47. პალნისი წამაძე, 48. პროკოფი მილორაოვა, 49. არტემ მირზოვი, 50. ბესო ჯავარიძე, 51. ექ. რაყენ ყიფიანი, 52. პოლიკარპე კაციტაძე, 53. ბაგრატ მელაშვილი, 54. არსენ ძიძიგური, 55. გიორგი სამთელაძე, 56. საფაროვ ფილიძე, 57. სვანიძე, 58. მიხაილ გუგაძე, 59. კიხინსო ყურაშვილი, 60. გიორგი გამარკლიძე, 61. სედრაქ არუთინოვი, 62. გიორგი კარკაძე, 63. გიორგი ჩიქოვანი, 64. იაგორ აკოფაძე, 65. შაქარ მალინოვი, 66. ტერან ყალამქაროვი, 67. დათიკო ფერაძე, 68. არშაკ მამულაძე, 69. შაქრო პეტრუზოვი, 70. **Е. Арutyновъ**, 71. გ. ს. გივიშვილი, 72. ბესარიონ ვაჩიხუვაძე, 73. ექთიმე ყორაოლი, 74. ვანო ბუაძე, 75. არტემ შახმურაძე, 76. კოლა ვართანოვი, 77. ოთარ დოქიძე, 78. ვასილ ავაიძე, 79. (ვერ გავარჩიეთ) 80. ელისბარაშვილი, 81. გრიგორ მარკოზოვი, 82. ივანე აკოფოვი, 83. გიორგი შალიკაშვილი, 84. ალექსი გურაძე.

რედ.-გამომც. **ი. პ. როსტომაშვილი.**